


BP საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიში 2009



bp.com/countrysustainabilityreports



შინაარსი

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში არის საქართველოში კომპანია BP-ის მიერ გამოცემული მდგრადი განვითარების მეექვსე ანგარიში, რომელიც აღწერს BP-ის საქმიანობას საქართველოში 2009 წელს და კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებს. ჩვენთვის „მდგრადობა“ ნიშნავს BP-ის, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია, გააუმჯობესოს მომსახურება საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების საპასუხოდ, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, თავისი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს ნდობა საკუთარი მომხმარებლების, აქციონერებისა და იმ ქვეყნების მოსახლეობის, სადაც ის საქმიანობს.

შევეცადეთ ანგარიშში დაბალანსებულად წარმოგვედგინა ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა შიდა და გარეშე დაინტერესებული მხარეებისათვის და რომლებიც ფორმალური პროცესის მეშვეობით გამოვავლინეთ. ისევე როგორც გასული წლის ანგარიშები, წინამდებარე ანგარიში შემომწებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

→ მდგრადი განვითარების ანგარიში
www.bp.com/countrysustainabilityreports

გამაფრთხილებელი განცხადება

BP საქართველოს „2009 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“ შეიცავს გარკვეულ განცხადებებს BP-ის ბიზნესის, ოპერატიული საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც, თავისი შინაარსით, მომავალს ეხება. თავისი არსით, სამომავლო განცხადებები შეიცავს გარკვეულ რისკებსა და უზუსტობებს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტობრივი საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორისაა: მრეწველობის ამ დარგის წინადადებით მომარაგების დონე, მოთხოვნის დონე და ფასნარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობებში; ენერგეტიკის კუროს ცვალებადობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არაბუნებრივი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დივერსიული აქტები; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან „BP-ის 2009 წლის ფინანსურ ანგარიშში“.

ამ ანგარიშში „BP“-ისა და „BP ჯგუფის“ ხსენებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთობლივად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსაზღვრობები „ჩვენი“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული. თანხები მოცემულია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

ანგარიშში გამოყენებული ტერმინების განმარტება იხილეთ 29-ე გვერდზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის - Ernst & Young-ის შესავალი განცხადება
ჩვენ შევამოწმეთ BP საქართველოს 2009 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდ არის დასაბუთებული ფაქტებით და ახსნა-განმარტებებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 28-ე გვერდზეა მოყვანილი.



BP-ს საქმიანობა საქართველოში 2009 წელს

ექსპლუატაციის ეფექტურობის 99.9%-იანი მაჩვენებელი

→ იხილეთ გვერდები 4-8



ადამიანთა რესურსი

ჩვენი თანამშრომლების კვალიფიციური რესურსი

→ იხილეთ გვერდები 16-18



ადგილობრივი რესურსი

მუშაობა პარტნიორულ საწყისებზე

→ იხილეთ გვერდები 19-25

01 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა

02 მიღწევები და ამოცანები

03 BP საქართველოში

04 BP-ის საქმიანობა საქართველოში 2009 წელს

09 უსაფრთხო და საიმედო ენერგორესურსები

16 ადამიანთა რესურსი

19 ადგილობრივი რესურსი

26 ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

28 დამოუკიდებელი აუდიტორის განცხადება

29 ტერმინების განმარტება

30 დამატებითი ინფორმაცია

ყდაზე: ზემოთ მარცხნივ

ზემოთ მარჯვნივ

ქვემოთ მარცხნივ ქვემოთ მარჯვნივ

BP-ის თანამშრომლები მუშაობის პროცესში (საქართველო) ძირითადი სატუმრო შენობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველ ნავთობსაქარ სადგურზე საქართველოში საზღვაო ოპერაციები სუფსის ტერმინალზე ჩასატვირთი ტუმბოების შენობის ხედი სუფსის ტერმინალზე

წინასიტყვაობა

BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა

ნილ დანი BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
მაისი, 2010 წელი



☺ 2009 წელი წარმატებული წელი იყო BP-ისთვის საქართველოში, რადგან, გარდა იმისა, რომ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა წარიმართა შეფერხებებისა და უსაფრთხოების ინციდენტების გარეშე, დასრულდა მუშაობა გასულ წლებში აღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულებაზე. ეს ანგარიში მოგვითხრობს კომპანიაზე, რომელიც დანაპირებს ყოველთვის ასრულებს და საჯაროობის ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჩვენ სავსებით დამსახურებულად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი მიღწევებით. ☺

2009 წელი კომპანიისთვის ნაყოფიერი წელი იყო. საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC), სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა (SCP) და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 99.9% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნაწილში თითქმის მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ. ამ მაღალი მაჩვენებლის მიღწევა მოხერხდა ისე, რომ ჩვენს ძირითად საქმიანობაში არ აღნიშნულა არც ერთი საწარმოო ტრავმა ან პერსონალის შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღე, რაც ჩვენი თანამშრომლების მაღალ პროფესიონალიზმსა და მონდომებაზე მეტყველებს. ზედმიწევნით ვასრულებთ ჩვენი პარტნიორობისა და აქციონერების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და გვაქვს საფუძველი, ვიამაყოთ მიღწეული შედეგებით. ვულოცავ ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ წარმატებაში.

2009 წელი ჩვენი ვალდებულებებისა და დაპირებების შესრულების წელი იყო. მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, 2009 წელს დავასრულეთ და ექსპლუატაციაში გავუშვით მნიშვნელოვანი ობიექტები – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის განკუთვნილი ნავთობის ჩამოსაცლელი ობიექტი, უსაფრთხოების ბაზა, რომელსაც უკვე სრული დატვირთვით იყენებს მილსადენების დაცვის სამთავრობო სამსახური, საქართველოში პირველი ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი, რომლის მშენებლობას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები და რომელზეც უკვე მიმდინარეობს ჩვენს ობიექტებზე წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების განთავსება. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებასთან ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და დეტალური ანალიზის შემდეგ, მივალნით პრინციპულ შეთანხმებას ეკოკომპენსაციის საკითხზე, კერძოდ, შევთანხმდით პროექტზე, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის დაცვასა და კეთილმოწყობას ითვალისწინებს; დავასრულეთ ახალციხეში მდებარე სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის შენობის სარემონტო სამუშაოები და გავხსენით თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების საგამოფენო დარბაზი ექსპოზიციით, რომელზეც მილსადენების მშენებლობის დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა არის გამოფენილი. 2009 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც განისაზღვრა ქვეყანაში მოქმედი ყველა მაგისტრალური მილსადენის დაცვის წესი და დაცვის ზონები. ამით მნიშვნელოვანი სიცხადე იქნა შეტანილი საკითხში, რომელსაც ჩვენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობასთან ვიხილავდით.

ჩვენი საქმიანობა მხოლოდ გასულ წლებში ნაკისრ ვალდებულებების შესრულებით არ შემოიფარგლებოდა. ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი საზოგადოებრივი ინიციატივების პროგრამები, რომლის ფარგლებში ვებმარებით სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ფართო საზოგადოებას ვაცნობთ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს, პარტნიორობთან ერთად ვახორციელებთ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობის ინიციატივებს. პროექტების მართვის კოლეჯის წარმატებით გახსნა და სკოლის მოსწავლეებს შორის საგზაო უსაფრთხოების კამპანიის მხარდაჭერა ორი მცირე მაგალითია ამ ანგარიშში აღწერილი ჩვენი ძალისხმევისა, რომელიც ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. გვებამყვება, რომ ვმონაწილეობთ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და, სათანადო ინსტიტუტების შექმნის გზით, სტიმულს ვაძლევთ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა საკუთარ ხელში აიღონ.

ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა ჩვენი წინსვლა ადგილობრივ კომპანიათა ჩამოყალიბების გზაზე. დღეისათვის საქართველოში BP-ის თანამშრომელთა 95%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენენ.

ჩვენს მუშაობას მუდამ ახლავს სირთულეები. რეგიონის ცვალებადი გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ზოგჯერ ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს პოლიტიკური არასტაბილურობისა და დამახურობის ფონზე. ჩვენი ყოველდღიური ამოცანაა, რომ უზრუნველყოთ ჩვენი ობიექტების უსაფრთხო და საიმედო ექსპლუატაცია. ამისათვის გვყავს მსოფლიო დონის სპეციალისტები და გაგვაჩნია მსოფლიო კლასის სტანდარტები და პროცედურები. ნებისმიერი ჩვენი საქმიანობა მრავალგზის დეტალურ შემოწმებასა და რევიზიას გადის. მათი დასკვნები კი ჩვენი ოპერაციებისა და საქმიანი პრაქტიკის დახვეწაში გვეხმარება.

მოხარული ვართ, რომ საქართველოში გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრის სტატუსით, 2009 წლის ივნისში მონაწილეობა მივიღეთ „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ ფარგლებში გამართულ სემინარში და ფართო საზოგადოებას გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება მდგრადი განვითარების საქმიანობის ანგარიშგების სფეროში. ეს არის ჩვენი რიგით მეექვსე, მდგრადი განვითარების ანგარიში. კვლავ საიმედოებით წარმოგიდგენთ ჩვენს მიღწევებს და ღიად ვსაუბრობთ ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ვიმედოვნებთ, რომ ანგარიში თქვენთვის საინტერესო აღმოჩნდება და ველით გამოხმაურებას.

მიღწევები და ამოცანები

ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს 2009 წელს ჩვენს მთავარ მიღწევებსა და ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს.



სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველი ნავთობსაქაჩი სადგური

მიღწევები

მუშაობა ეფექტურად, უსაფრთხოდ და საიმედოდ

2009 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 99,9% შეადგინა. ამ მაღალი მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელი გახდა ისე, რომ ჩვენს ძირითად საქმიანობაში არ აღნიშნულა სანარმოო ტრავმები ან შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეები (იხ. გვერდი 5).

კადრების ნაციონალიზაცია

95%-მდე გაიზარდა კომპანიის თანამშრომლებში საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი. მეტი ადგილობრივი თანამშრომელი დაინიშნა ხელმძღვანელ თანამდებობებზე (იხ. გვერდი 17).

ვალდებულებების შესრულება

დავასრულეთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობის ეტაპზე დაწყებული „სპეციალური პროექტებით“ გათვალისწინებული რამდენიმე ობიექტის მშენებლობა. მათ შორისაა ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, მილსადენების უშიშროების დაცვის სამთავრობო ძალებისთვის განკუთვნილი ბაზა. საქართველოს მთავრობასთან მივალწიეთ პრინციპულ შეთანხმებას ეკოკომპენსაციისა და მილსადენების უსაფრთხოების ზონების შემოღების თაობაზე. ამ ეტაპების გადალახვით დასრულდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე და საბოლოოდ შესრულდა გასულ წლებში ნაკისრი ვალდებულებები (იხ. გვერდი 8).

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოს მოსახლეობისთვის სასარგებლო ინიციატივების განსახორციელებლად, ვაგრძელებთ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრთან. ჩვენი საზოგადოებრივი პროგრამებით ვცხმარებით განათლების სფეროსა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას (იხ. გვერდი 21).

ამოცანები

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ტექნიკური მომსახურება

მიმდინარეობს მუდმივი დაკვირვება მილსადენის მდგომარეობაზე, რათა დროულად გამოვლინდეს ნებისმიერი გაუმართაობა და მოხდეს რეაგირება პოტენციურ საფრთხეებზე, რომლებიც მეწყრულ მოვლენებსა და მდინარის გადაკვეთებზე განვითარებულ პროცესებს უკავშირდება (იხ. გვერდი 7).

მილსადენზე უკანონო მიერთების ფაქტები

2009 წელს მილსადენზე უკანონო მიერთების ორი ინციდენტი ნავთობის დაღვრით დასრულდა, აღინიშნა მილსადენიდან ნავთობის გადაქაჩვის სხვა მცდელობებიც. გრძელდება მუშაობა საქართველოს მთავრობასთან და მილსადენების დაცვის სამსახურებთან, მილსადენების უშიშროების დაცვის ღონისძიებების ეფექტურობის ასამაღლებლად (იხ. გვერდი 7).

ადგილობრივი კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლება

ჩვენს რამდენიმე ადგილობრივ კონტრაქტორს საკუთარი ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით სირთულეები შეექმნა. გრძელდება ჩვენი ძალისხმევა საქართველოში ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ამ ძალისხმევის ერთ-ერთი გამოხატულებაა პროექტების მართვის კოლეჯის გახსნა, რომელიც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს საქართველოში კვალიფიციური პროექტის მენეჯერების რესურსის შექმნას (იხ. გვერდი 24).

BP საქართველოში

ზოგადად BP-ის შესახებ

BP აწარმოებს სატრანსპორტო საწვავს, გათბობისა და განათებისთვის საჭირო ენერგიას, ნავთობქიმიური მრეწველობის ყოველდღიური მოხმარების პროდუქციას. BP საერთაშორისო კომპანიაა, რომელსაც 80300-მდე თანამშრომელი ჰყავს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში, 30 ქვეყანაში გააჩნია წილი წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ოპერაციებში, მათ შორისაა წიაღისეული საწვავის მილსადენებით ტრანსპორტირების ოპერაციები საქართველოს ტერიტორიის გავლით.

2009 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში BP ჯგუფში შემავალი კომპანიების დიდიური მოპოვების მოცულობამ დაახლოებით 4 მილიონი ბარელი ნავთობისა და გაზის ეკვივალენტი შეადგინა. 2009 წელს კომპანიამ წლიური მოპოვების მოცულობა 129%-ით ჩაანაცვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე ზედიზედ ჩვიდმეტი წელია, რაც კომპანიის მარაგების ჩანაცვლების კოეფიციენტი 100%-ს აღემატება.

ჩვენი საქმიანობა საქართველოში

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ოპერატორია. ამ მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდი მეოთხე სრულ წელს ითვლის. ერთ დერეფანში, ერთმანეთის პარალელურად გაყვანილი ნავთობსადენი და გაზსადენი საქართველოს ტერიტორიას 248 კმ სიგრძეზე გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი ნავთობსაქაჩი სადგური, გაზგამანაწილებელი, წნევის დამგდები და გამზომი სადგურები და 21 ჩამკეტი სარქველი. BP ამ ობიექტების ექსპლუატაციას ახორციელებს ენერგოკომპანიებისა და ინვესტორებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით.

გარდა ამისა, BP ენერგოკომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ დანიშნული დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენის) ოპერატორად. ამ ნავთობსადენით, რომლის 373 კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოში მდებარეობს, კასპიის ზღვის სანაგაჩალის ტერმინალიდან ნავთობი შავ ზღვაზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უცხოურ ავიაკომპანიებს საავიაციო საწვავით ემსახურება BP-ის ერთობლივი საწარმო Air BP.

BP-ის ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში



ჩვენი ღირებულებები

საქართველოში ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში BP ჯგუფის ღირებულებებითა და სტრატეგიით ვხელმძღვანელობთ.

ეს ღირებულებები ჩვენი ბიზნესის წარმმართველია. ყველა ჩვენს თანამშრომელს მოეთხოვება, რომ იმოქმედოს მაღალეთიკური სტანდარტების შესაბამისად და განუხრელად დაიცვას BP-ის „ქცევის კოდექსი“.

BP-ის ღირებულებებია: პროგრესული, პასუხისმგებელი, ინოვაციური, შედეგებზე ორიენტირებული.

პროგრესული

ჩვენ ორმხრივი სარგებლისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის პრინციპზე ვაგებთ ურთიერთობას კომპანიის შიგნით და ჩვენს პარტნიორებთან და მომხმარებლებთან.

პასუხისმგებელი

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი საქმიანობის რეგიონების მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და მათთვის განვითარების შესაძლებლობების შექმნაზე. ჩვენი დევიზია – არც ერთი უბედური შემთხვევა და არავითარი ზიანი აღამიანებსა და გარემოს.

ინოვაციური

ჩვენი თანამშრომლების ნოვატორული ხედვისა და მონივნე ტექნოლოგიების მეშვეობით, საფუძველს ვქმნით მომავალი წარმატებებისათვის.

შედეგებზე ორიენტირებული

ჩვენ ვასრულებთ ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანებს, მუდმივი სრულყოფის გზით, და ვინარჩუნებთ ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოებასა და საიმედოობას.



მოქმედი ობიექტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველი ნავთობსაქაჩი სადგური

BP-ის საქმიანობა საქართველოში 2009 წელს

როგორ წარიმართა BP-ის საქმიანობა საქართველოში 2009 წელს?

2009 წელს საქართველოში ჩვენი
ოპერაციები და პროექტები წარიმართა
ეფექტიანად, უსაფრთხოდ და
პასუხისმგებლობით. ანგარიშის ამ
თავში აღწერილია წლის განმავლობაში
განვითარებული ძირითადი მოვლენები.

ფოტოებზე

1 საზღვაო ოპერაციები შავ ზღვაზე

2 მილსადენის პატრული მეძებარი ძაღლით

3 სუფსის ტერმინალის ხედი სახანძრო წყლის შესანახი რეზერვუარიდან

4 მექანიკოსი ტექნოლოგიების სამუშაოს ჩატარებისას ბაქო-თბილისი-
ჯეიჰანის ნავთობსადენის პირველ საქაჩ სადგურზე



მთავარი მოვლენები
www.bpgeorgia.ge





ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC)

2009 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციის ჯგუფმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მთელი წლის განმავლობაში ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობა, ანუ წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის უდანაკარგო და შეუფერხებელი გადაზიდვის მაჩვენებელი 99,9% იყო. ეს მაჩვენებელი მეტ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის წლიურ მოცულობას, რომელმაც 2009 წელს თითქმის 286 მილიონი ბარელი, ანუ დღეში საშუალოდ 783 ათასი ბარელი შეადგინა. ამ მოცულობის საწვავი 10 მილიონზე მეტ მსუბუქ ავტომობილს ეყოფოდა, თითოეულს წელიწადში 20 ათასი კილომეტრის გასავლელად. 2009 წლის განმავლობაში 366 ტანკერი დაიტვირთა ნავთობით თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალზე, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბოლოვდება. დამატებით, 2009 წელს ნავთობით დატვირთული 51 ტანკერი გავიდა სუფსის ტერმინალიდან.

მოდუფიკაციის სამუშაოები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე

2009 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წარმატება დღიურ 1,2 მილიონ ბარელამდე გაეზარდა, რაც მილსადენში ქიმიური ნივთიერების – ანტიფორიკიული რეაგენტის შეშვებით მიიღწევა, რომელიც აადვილებს ნავთობის ნაკადის გადინებას მილსადენში. 2009 წელს დავასრულეთ რეაგენტის ჩასატვირთი მოწყობილობის, მილგაყვანილობის, ტუმბოების, საცავი რეზერვუარების, ცისტერნების დაცლის პუნქტების დამონტაჟება ნავთობსაქარ სადგურებსა და სხვა ობიექტებზე. მთელი ეს სამუშაო შესრულდა უსაფრთხოების ინციდენტების გარეშე და მილსადენის ექსპლუატაციის ნორმალური რეჟიმის შეუფერხებლად. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სისტემაში განხორციელდა მოდიფიკაციის რამდენიმე პროექტი: 1-ლ ნავთობსაქარ სადგურზე აშენდა ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზა და ტექნიკის სარემონტო სახელოსნო, მე-80 უბანზე, მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აშენდა საგენერატორო შენობა, ხოლო მე-2 ნავთობსაქარ სადგურსა და ნალკაში დაღვრაზე რეაგირების ბაზის ტერიტორიაზე დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაეშვა ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები.

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მილსადენების დაცვის ზონების შემოღება საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტით, რომელშიც მკაფიოდ არის გამოჯნული მაგისტრალური მილსადენების დაცვის ზონების საზღვრები და მითითებულია მილსადენების სიახლოვეს ნებადართული და აკრძალული საქმიანობის სახეები. ეს ბრძანებულება მილსადენების დაცვის წესისა და დაცვის ზონების შესახებ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მაგისტრალურ მილსადენს შეეხება.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP)

2009 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიური გაზსადენით უსაფრთხოდ და სტაბილურად ვანვდიდით გაზს მომხმარებელს საქართველოსა და თურქეთში, ვამარაგებდით გაზზე მომუშავე დანადგარებს ნავთობსადენის სისტემაში. კასპიის ზღვის აუზში მდებარე შაჰ დენიზის საბადოდან მიღებული გაზი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება.

მილსადენების უშიშროების დაცვა და ადამიანის უფლებები

2009 წელს მილსადენების უშიშროების კერძო სამსახურების თანამშრომლებს ჩაუტარდათ გადასამზადებელი ტრენინგები „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობით პრინციპებში“.

200-ზე მეტი დაცვის თანამშრომელი დაესწრო ექვს სემინარს, სადაც ისინი უკეთ გაეცნენ უშიშროების მოსალოდნელ საფრთხეებზე რეაგირებისას მოქმედ შეზღუდვებს, ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ნორმებს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და BP-ში მოქმედ პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.



„უხმაურო მუშაობის“ მაგალითი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უდანაკარგო ექსპლუატაცია საქართველოს ტერიტორიაზე

„მთელი წლის განმავლობაში ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებლის შენარჩუნება 99,9%-ის ნიშნულზე უდავოდ იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი ვანარმოოთ ნავთობის ექსპორტის საიმედო ოპერაციები“, ამბობს ერეკლე ლეჟავა, BP საქართველოს ექსპლუატაციის სუპერინტენდენტი. „ამ მაჩვენებლის მისაღწევად, პრაქტიკულად, საჭიროა, რომ მილსადენის სისტემაში ყველანაირი აღჭურვილობა, ნებისმიერ დროს, სრულ საექსპლუატაციო მზადყოფნაში იყოს, და უნდა არსებობდეს სარეზერვო გეგმა, რომელიც ამუშავდება რომელიმე კომპონენტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში“.

ამ წარმატებას განაპირობებს ექსპლუატაციის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურების ზედმინევენით შესრულება, რომელთა შემადგენელი ნაწილია ყოველდღიური სატელეფონო კონფერენციები, სამუშაოს დეტალური დაგეგმვა, სუსტი მხარეებისა და ტექნოლოგიური პარამეტრების დარღვევების ანალიზი და აღრიცხვა. „მუდმივი სწრაფვა სრულყოფისკენ ჩვენი გუნდის ამოსავალი პრინციპია“, განმარტავს ერეკლე. „ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ ჩვენი მუშაობის შედეგს, ადრეულ ეტაპზე ვავლენთ პოტენციურ პრობლემებს, ვახდენთ შესაბამისი სპეციალისტების მობილიზებას და ვითვალისწინებთ ყოველი ინციდენტის შედეგად შეძენილ გამოცდილებას. სატელეფონო კონფერენციები გვეხმარება, რომ გავინაწილოთ სამოქმედო სფეროები და მუდმივი კოორდინაცია ვიქონიოთ მილსადენის მარშრუტზე მომუშავე სხვა ჯგუფებთან. ერთი რამ ზუსტად ვიცით: მიღწეულით დაკმაყოფილებისა და ყურადღების მოდუნების უფლება არ გვაქვს.“

ეს წარმატება ოთხმოცამდე ადამიანის დამსახურებაა. მათ შორის არის თითოეული ნავთობსაქაჩი სადგურის ორმოცამდე თანამშრომელი, რომელთა ძირითადი შემადგენლობა, ცვლემი მორიგეობის გრაფიკით, უზრუნველყოფს ამ ორი უმსხვილესი და ურთულესი ობიექტის ექსპლუატაციას 24-საათიან რეჟიმში. მათი მოვალეობაა, რომ უზრუნველყონ სისტემაში ჩართული ყველა მონყობილობის მაქსიმალური საექსპლუატაციო მზადყოფნა, რომელთა შორისაა ათი მაგისტრალური ტუმბო, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავს Solar-ის ტურბინებს, ექვსი ავტონომიური ელექტროგენერატორი და ორი ნავთობსახდელი დანადგარი, საიდანაც ნედლი ნავთობის გადამუშავებით მიღებული დიზელის სანავთობო ტურბინები და გენერატორები მარაგდება.

ნებისმიერი მონყობილობის ხანგრძლივი და გამართული მუშაობის წინაპირობა სათანადო ტექნიკური მომსახურებაა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ტექნომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელი – ნუგზარ მაისურაძე – მიიჩნევს, რომ ტექნომსახურების სამუშაოების სწორად დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია: „ტექნომსახურების ჯგუფის უმთავრესი ამოცანაა სისტემაში ჩართული ყველა მონყობილობის საექსპლუატაციო მზადყოფნა და მუშაობა ოპტიმალურ რეჟიმში, რაც მილსადენის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს. ჩვენ მუდმივად ვახდენთ ჩვენი გრაფიკებისა და პროცედურების გადასინჯვას, რათა მაქსიმალურად რაციონალურად დავგეგმოთ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოებისა და ექსპლუატაციის ციკლები“.

ნუგზარის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ოპტიმიზაციის ახალ პროექტზე. „ვაპირებთ, რომ 1-ლი და მე-2 ნავთობსაქაჩი სადგურების ელექტრომომარაგების ქსელში მუდმივად ჩართული ვიქონიოთ ერთი ძირითადი ელექტროგენერატორი, ნაცვლად ამჟამად მომუშავე ორისა. ხარჯების ეკონომიის გარდა, ამით ჩვენი ოპერაციებით გამოწვეულ ეკოლოგიურ ზემოქმედებასაც შევამცირებთ“.

ალისტერ ლიდლი, ექსპორტის ქვედანაყოფის მენეჯერი საქართველოში, ასკვნის: „ეფექტურობის ასეთი მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება ერთი სრული წლის განმავლობაში შთაბეჭდილი მიღწევაა და საქართველოში „უხმაურო მუშაობის“ ბრწყინვალე მაგალითია. ჩვენს მუშაობას ხშირად ტბის ზედაპირზე მოსრიდე გედის ცურვას ვადარებ. ერთი შეხედვით, გედი წყლის ზედაპირზე ნარნარად მისრიალებს, მაგრამ წყალქვეშ მთელი ძალით ამუშავებს ფეხებს, რომ სასურველ ადგილს მიაღწიოს. BP მუდამ ისწრაფვის, რომ საუკეთესო იყოს, და ეს წარმატება ამის ნათელი მაგალითია. თუმცა, გედის ცურვასავით, ჩვენც მთელი ძალით გვმართებს ნიჩბების მოსმა, თუ გვინდა, რომ საბოლოო დანიშნულების ადგილს მივალნიოთ“.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვა BTC/SCP მილსადენების პროექტების ფარგლებში

ჩვენთვის საქმიანობა პასუხისმგებლობით არ ნიშნავს მხოლოდ საკუთარი აქტივების მართვას უსაფრთხოდ და რაციონალურად. ის გარემოზე ზრუნვასაც გულისხმობს.

ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, მივიღეთ ზომები მშენებლობის პროცესში მილსადენების მარშრუტზე აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების დაცვისა და შენარჩუნებისთვის. 2009 წელს დავასრულეთ ახალციხეში მდებარე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცისა და საცავის სარემონტო სამუშაოები და მუზეუმის კარი დამთვალიერებლებისთვის გაიღო.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენი (WREP)

2009 წლის განმავლობაში ნავთობსადენით დღეში დაახლოებით 86 ათასი ბარელი ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირებას ვახდენდით ბაქიდან სუფსის ტერმინალამდე, ნავთობსადენის ექსპლუატაციის 99,9% ეფექტურობის პირობებში.

2006-2007 წლებში ნავთობსადენის ზოგიერთ ძველ (საბჭოთა კავშირის დროინდელ) სექციას ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა. ვაგრძელებთ დაკვირვებას ნავთობსადენის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ნავთობსადენს უტარდება მონიტორინგისა და ტექნომსახურების გეგმიური სამუშაოები, სრულდება მილსადენში დიაგნოსტიკური დგუშის გაშვების ოპერაცია, კერძოდ, მილსადენში ეშვება მაღალტექნოლოგიური ელექტრონული ხელსაწყო, რომელიც ამოწმებს მილსადენის მდგომარეობას და გამოავლენს ანომალიებს (მაგ. მილის კედლის კოროზიას). საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები და სპეციალიზებული კვლევები ტარდება მილსადენის მეწყერასაშუაშებნებსა და მდინარეების გადაკვეთებზე, რათა მოხდეს დროული რეაგირება ნაპირების ეროზიითა და მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებით გამოწვეულ მოვლენებზე. ჩვენ რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას მილსადენის მდგომარეობაზე

მუზეუმი ახალციხეში – უძველესი და უახლესი

საქართველოს სამხრეთში მდებარეობს ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ახალციხე. ქალაქი ისტორიულ წყაროებში მე-12 საუკუნიდან ჩნდება. ახალციხის ისტორიულ სიძველეებს შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია ძველი ციხე-სიმაგრე – „არაბათი“. ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მოქმედებს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი. მუზეუმში თავმოყრილი მასალა რეგიონის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მემკვიდრეობაა. მუზეუმის ფონდებში დაცულია ძველი ხელნაწერები, მდიდარი ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული მასალა და ფოტოდოკუმენტები. დღეისათვის მუზეუმში 25 ათასზე მეტი ექსპონატი, ხელნაწერი და საარქივო მასალის ნიმუშია დაცული.

2007 წელს BP-მ და პარტნიორებმა ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, რომლის საფუძველზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მუზეუმის არქეოლოგიური მასალების საცავებსა და საგამოფენო დარბაზს, რომლებიც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა მილსადენების მშენებლობის დროს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საზოგადოებისთვის გაცნობას, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების ინფორმირებას სამუზეუმო სექტორში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

თითქმის ხუთი თვე მიმდინარეობდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებსაც ადგილობრივი კონტრაქტორი კომპანია ასრულებდა. განახლდა მუზეუმის საგამოფენო დარბაზები და საცავი, მოწესრიგდა მუზეუმის ძირითადი კომუნიკაციები. მილსადენების მშენებლობის დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ამჟამად ინახება ამ კოლექციისთვის შესაფერის, თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილ საცავში. საცავი მიკროკლიმატის რეგულირების, უსაფრთხოებისა და დაცვის უახლესი სისტემებით არის აღჭურვილი. განახლებულ ექსპოზიციასზე წარმოდგენილია პალეოლითის ხანიდან შუა საუკუნეებამდე დათარიღებული რვაასამდე ექსპონატი, რომლებიც მილსადენების მარშრუტზე აღმოჩნდა.

მუზეუმი ღიაა დამთვალიერებლებისათვის და იგი უკვე იქცა საგანმანათლებლო და ტურისტული დანიშნულების ღირსშესანიშნაობად, რომელიც არა მარტო საქართველოს წარსულზე მოუთხრობს ფართო საზოგადოებას, არამედ მომავალში რეგიონისთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია.

კომპანიის შიდა საინჟინრო-ტექნიკური ზედამხედველობის ფუნქციის მქონე განყოფილებებს და, აგრეთვე, BP ჯგუფის საექსპლუატაციო რისკების კომისიას – საექსპლუატაციო რისკების მაკონტროლებელ უმაღლეს ორგანოს, რომელიც კომპანიის დირექტორთა საბჭოს დონეზე ფუნქციონირებს.

2009 წელს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე უკანონო მიერთების ხუთი შემთხვევა აღინიშნა და მიერთების მცდელობის ექვსი ფაქტი გამოვლინდა. მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად, საკუთარი რესურსების მობილიზაციის პარალელურად, გავაგრძელებთ მოლაპარაკებას საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ნავთობსადენიდან ნავთობის დატაცების ფაქტებისა და ამით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.



ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
ნავთობსადენის სექცია
კოდიანას მთის მიდამოებში

2009 წელს მომხდარი ნავთობის დაღვრის ორივე შემთხვევა მილსადენზე უკანონო მიერთების მცდელობამ გამოიწვია. ერთ შემთხვევაში დაიღვრა 4300 ლიტრი (დაახლოებით 27 ბარელი), ხოლო მეორე შემთხვევაში – 1200 ლიტრი (დაახლოებით 7,5 ბარელი) ნავთობი. დაღვრაზე რეაგირების ჯგუფმა დაღვრილი ნავთობის თითქმის 95%-ის შეგროვება მოახერხა. ნარჩენი პროდუქტის გაუვნებელყოფისათვის, ადგილზე სპეციალური განმენდითი ღონისძიებები ჩატარდა.

სპეციალური პროექტები

მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა სპეციალური პროექტებით გათვალისწინებული იმ ობიექტების მშენებლობაში, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოდიანას მიმდებარე მონაკვეთზე საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით შენდება.

ექსპლუატაციაში გაეშვა ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი – 8500 მ³ მოცულობის ფოლადის ავზი, რომელიც ბეტონის მიწისქვეშა მეორად გარსაცმშია ჩასმული და ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთის რომელიმე წერტილში მომხდარი ავარიის შემთხვევაში, მილსადენის ამ სექციაში არსებული ნავთობის მოცულობის ჩამოსაცლელად და შესანახად არის განკუთვნილი. მშენებლობის პროექტებზე მომუშავე ჯგუფმა დაასრულა ამ ობიექტის ექსპლუატაციის ჯგუფისთვის გადაბარების ფორმალური პროცესი.

დასრულდა საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოები მეორად შემაკაველ ობიექტებზე (ჯებირებითა და საკეტებით აღჭურვილი შემაკაველები აუზები, რომლებმაც, ნავთობსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, დაღვრილი ნავთობის ეფექტური შეკავება უნდა უზრუნველყონ). სამუშაოების ბოლო ეტაპზე დამონტაჟდება მართვის აპარატურისა და ელექტრომომარაგების სისტემები და ჩატარდება ობიექტების გამოცდა, რაც 2010 წელს ზამთრის სეზონის შემდეგ იგეგმება.

Air BP

წლის განმავლობაში Air BP თბილისის საერთაშორისო აეროპორტში აგრძელებდა ავიაკომპანიების მომსახურებას საერთაშორისო კლასის საავიაციო საწვავით. ისევე როგორც 2007 და 2008 წლებში, კომპანიის საქმიანობაში 2009 წელს არ აღირცხულა შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეები და საწარმოო ტრავმები.

ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი

კვლავ მნიშვნელოვანია ჩვენი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში.

2009 წელს საქართველოში განეულმა საოპერაციო ხარჯებმა 104,9 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2008 წელს იგივე მაჩვენებელი 130,9 მილიონი დოლარი იყო. 2009 წელს კაპიტალური დაზანდების მოცულობა იყო დაახლოებით 38 მილიონი დოლარი, რომლის უდიდესი ნაწილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მოდიფიკაციისა და ნავთობსადენის ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოებს მოხმარდა.

2009 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ყველა აქციონერი კომპანიის სახელით ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობებზე გადაანგარიშებით გადახდილმა მოგების გადასახადმა 34,3 მილიონი დოლარი შეადგინა. 2008 წელს იგივე მაჩვენებელი 29,6 მილიონი დოლარი იყო. 2009 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფის სახით საქართველოს ბიუჯეტში 7,2 მილიონი დოლარი გადაირიცხა.

BTC და SCP მილსადენების მშენებლობის დასრულებასთან ერთად, შემცირდა BP-ისა და მისი პარტნიორების წილი ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. სახელმწიფო სტატისტიკის მიხედვით, 2009 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში BP-ისა და მისი პარტნიორების წილი დაახლოებით 2,2% იყო, ხოლო 2008 წელს იგივე მაჩვენებელი 2,8%-ს შეადგენდა. თუმცა, მილსადენების ექსპლუატაციის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი წილი ექსპორტის ღირებულებაში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, BP-ის მილსადენების ოპერაციებზე მომსახურების ექსპორტის საერთო ღირებულების დაახლოებით 19% მოდის.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ კვლავ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ ადგილობრივ კონტრაქტორთან ვითანამშრომლოთ. 2009 წელს ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილმა თანხამ 50,7 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2008 წელს ეს მაჩვენებელი 74,3 მილიონი დოლარი იყო. კონტრაქტორებისთვის გადახდილი თანხის შემცირება კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების საერთო მოცულობის კლებით არის გამოწვეული, თუმცა ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხების ხვედრითი წილი 2008 და 2009 წლებში თითქმის არ შეცვლილა.

რაც შეეხება თანამშრომლობას უცხოელ მომწოდებლებთან, მათთან გაფორმებული კონტრაქტების ერთ-ერთი პირობის თანახმად, მათ მოეთხოვებათ, რომ წარმოგიდგინონ გეგმა საკუთარი კომპანიის თანამშრომელთა შემადგენლობაში საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილის გაზრდის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში დასაქმებულთა ტექნიკური და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას.

ადგილობრივი კომპანიების პოტენციალის ამაღლებისკენ მიმართული ჩვენი ძალისხმევების ნაწილია ჩვენი და ჩვენი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში გახნილი პროექტების მართვის კოლეჯი, სადაც მსმენელებს პროექტების მართვის ყველა ასპექტს შეასწავლიან. ვრცლად კოლეჯის ფუნქციონირების პირველი წლის შედეგების შესახებ იხილეთ ამ ანგარიშის თავში – „ადგილობრივი რესურსი“.

უსაფრთხო და საიმედო ენერგორესურსები

როგორ უზრუნველყოფს BP საქართველოში მისი ოპერაციების უსაფრთხოებასა და საიმედოობას?

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში BP-ის საქმიანობის ამოსავალი პრინციპია – არც ერთი უბედური შემთხვევა, არავითარი ზიანი ადამიანებსა და გარემოს. ამ პრინციპის დაცვაში გვებმარება მართვის თანმიმდევრული მეთოდები, კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი პროცესი, რისკების მართვის მკაცრად განსაზღვრული სისტემა და მუდმივი სწრაფვა სანარმოო პროცესების სრულყოფისკენ.

ფოტოებზე

- 1 სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პირველ ნავთობსაქაჩ სადგურზე
- 2 უსაფრთხოების შემოწმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მეორე ნავთობსაქაჩ სადგურზე
- 3 საგზაო უსაფრთხოების პროექტი
- 4 ოფისის შენობა სუფსის ტერმინალზე

 **საიმედო ოპერაციები**
www.bpgeorgia.ge

1



2



3



4



შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები

საქართველოში უკვე ზედიზედ მესამე წელი სრულდება შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების ნულოვანი მაჩვენებლით. საწარმოო ტრავმების რაოდენობა 2008 წელს აღრიცხული ხუთი შემთხვევიდან სამამდე შემცირდა. შესაბამისად, ნაკლები იყო აღრიცხვადი ტრავმების სიხშირის წლიური მაჩვენებელი, რომელიც უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი. ასევე იკლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობისა და საერთო სიხშირის მაჩვენებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ერთი ინციდენტიც კი ბევრია, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ 2009 წელი უსაფრთხოების დადებითი მაჩვენებლებით დასრულდა.

ჩვენი აზრით, 2009 წელს აღნიშნული ექსპლუატაციის ეფექტურობის მაღალი მაჩვენებლების თანხვედრა უსაფრთხოების ასეთივე მაღალ მაჩვენებლებთან შემთხვევითი არ არის: უსაფრთხოება და მუშაობის ეფექტურობა მონეტის ორი მხარეა. ამ კონცეფციას ამკვიდრებს წარმოების მართვის სისტემა (OMS), რომელიც ამჟამად BP-ის ობიექტებზე ინერგება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ვინაიდან მასში თავმოყრილი შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროების დეტალური მოთხოვნები და სტანდარტები BP-ში მუშაობის თანმიმდევრული პროცესის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. 2009 წელს, BP საქართველოს მასშტაბით OMS-ის დანერგვის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში, კომპანიაში ამჟამად მოქმედი პროცედურები დოკუმენტურად აღირიცხა.

უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლების შესანარჩუნებლად, აუცილებელია მუდმივი ყურადღება ინდივიდუალური უსაფრთხოებისა და საწარმოო პროცესების უსაფრთხოების მიმართ. სადაც ამის საჭიროება არსებობდა, კომპანიაში მოქმედი პროცედურები და სტანდარტები BP ჯგუფის და საერთაშორისო მონივრულ პრაქტიკის მოთხოვნებს მივუსადაგეთ. მაგალითად, 2009 წელს დაინერგა სავალდებულო შიდა მოთხოვნათა სისტემა, რომელიც რისკების დონის სწორად განსაზღვრასა და მათ მართვას შეეხება. რისკების ანალიზის ეს პროცესი ხელს უწყობს რისკების გამოვლენას, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას.

კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების არსებობას არსებითი მნიშვნელობა აქვს შრომის უსაფრთხოების სფეროში. ინფორმაციის გავრცელებას ვახდენთ ყოველკვირეული ცირკულარების მეშვეობით. თანამშრომლებს საკვანძო სფეროებში უტარდებათ განმეორებითი ტრენინგები, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უსაფრთხო მუშაობის მნიშვნელობაზე. ტრენინგები მოიცავდა შემდეგ სფეროებს: ინციდენტების შედეგად მიღებული გამოცდილება, ხანძრებთან და აფეთქებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური და საწარმოო უსაფრთხოების საკითხები, ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება, ტვირთაწვევის ოპერაციების უსაფრთხოება, მზუთავი აირის საფრთხისგან დაცვა, უსაფრთხოება ოფისებში და უსაფრთხოების სფეროს სხვა აქტუალური საკითხები.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის ოპერაციებში დაინერგა მუშაობის უსაფრთხოების ინტეგრირებული სისტემა (ISSOW), რომელიც უკვე წარმატებით გამოიყენება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და სამხრეთ კავკასიურ გაზსადენზე. ეს ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სამუშაო ობიექტზე არსებული რისკების შემცირებას, რადგან სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაოს კონტროლის პროცედურები უფრო ორგანიზებულად და კოორდინირებულად სრულდება.

ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, უსაფრთხოების საკითხში ყურადღების შესუსტება დაუშვებელია. უსაფრთხოების თითოეული ინციდენტი გარკვეულ გამოცდილებას გვძენს. ჩვენ სრულფასოვნად ვიძიებთ ინციდენტებს, ვცდილობთ გავაკეთოთ სწორი დასკვნები და მივმართავთ ზომებს, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევები თავიდან ავიცილოთ. ინციდენტების გამოძიების შედეგად, აუდიტის, შემოწმების, რისკის შეფასების, ხელმძღვანელობის შეხვედრებისა და დაგეგმვის პროცესში დასახული ყველა ქმედება დოკუმენტურად აღირიცხება და სრულდება. 2009 წლის ბოლოსთვის არც ერთი შეუსრულებელი ღონისძიება არ ირიცხებოდა კომპანიის შიდა აღრიცხვის სისტემაში – Traction.

უსაფრთხოების სისტემისა და ექსპლუატაციის ოპერაციების აუდიტი

ჩვენი უსაფრთხოების სისტემა და ექსპლუატაციის ოპერაციები მკაცრ და დეტალურ შიდა კონტროლს ექვემდებარება. 2009 წლის იანვარში BP ჯგუფის სპეციალისტებმა ჩაატარეს ჩვენი უსაფრთხოების სისტემისა და ოპერაციების აუდიტი. BP ჯგუფის სტანდარტებთან შედარების საფუძველზე, გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელთა უმრავლესობა შესრულებულია და მათი შესრულება დადასტურებულია აუდიტორების მიერ, გარდა გრძელვადიანი რეკომენდაციებისა, რომელთა შესრულება 2010 და 2011 წლებში არის დაგეგმილი. აუდიტის მოსამზადებელი პერიოდი, უშუალოდ აუდიტის მიმდინარეობა და მისი შედეგების შეჯამების პროცესი ჩვენთვის ძალზე ფასეული გამოცდილება იყო.

2009 წელს ჩვენი ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოების ზომები შეამოწმა აზერბაიჯანელი კოლეგებისგან შემდგარმა ჯგუფმა. კომპანიის ცენტრალური ოფისის ჯანდაცვის სფეროს რეგიონულმა მრჩეველმა კი შეამოწმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ჩვენს ობიექტებზე არსებობს.



დედამინის გარშემო – ავტოსაგზაო შემთხვევების გარეშე

BP საქართველოს მძღოლმა – ალექსი ჭალაგანიძემ, BP-ში მისი მუშაობის პერიოდში, ავტოსაგზაო შემთხვევების გარეშე დაფარა დაახლოებით ერთი მილიონი კილომეტრი, ანუ დედამინის გარშემო ოცდახუთჯერ მოგზაურობის ტოლფასი მანძილი.

ალექსიმ BP-ში მუშაობა 1996 წელს, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობის დროს დაიწყო. თავდაპირველად ის BP-ის კონტრაქტორად, თავისი კერძო ავტომანქანით მუშაობდა. „ველუცავთ მას ამ შთამბეჭდავ რეკორდს“, ამბობს ტრანსპორტის განყოფილების ხელმძღვანელი სალომე კობალაძე. „ამ ცამეტი წლის განმავლობაში ლექსომ ასეულშობით რეისი შეასრულა ისე, რომ არც ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა არ ჰქონია. ბევრი თანამშრომელი ემადლოებოდა მის უსაფრთხო მგზავრობისა და პროფესიონალიზმისათვის. გარდა ამისა, ის ისეთი მონდომებით უვლის მისთვის ჩაბარებულ ავტომანქანებს, გასაკვირი არ არის, რომ ისინი მას ყველაზე დიდხანს ემსახურებიან.“

BP-ის ავტომატების
სიჩქარის,
ადგილმდებარეობისა და
მძღოლის კონტროლი
„ონლაინ“ რეჟიმში
ავტოტრანსპორტის
მართვის უსაფრთხოება



ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება

საქართველოში ჩვენს ოპერაციებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების რისკებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგზაო მოძრაობას, რაც არა მარტო ჩვენი ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობით არის გამოწვეული (2009 წელს ჩვენმა თანამშრომლებმა რვა მილიონ კილომეტრზე მეტი გაიარეს), არამედ იმიტომაც, რომ ქვეყნის მასშტაბით გზების მდგომარეობა და საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის დონე არასახარბიელოა. 2009 წელს ჩვენი საქმიანობის პროცესში ორი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, თუმცა არც ერთ შემთხვევას სხეულის დაზიანება არ მოჰყოლია. უსაფრთხოების სისტემებისა და ექსპლუატაციის ოპერაციების აუდიტის ჯგუფმა დადებითად შეაფასა BP საქართველოში დანერგილი კონტროლის სისტემა, რომელთაც „ონლაინ“ რეჟიმში მიმდინარეობს ავტომატების სიჩქარის, ადგილმდებარეობისა და მძღოლის მოქმედებების კონტროლი.

სისტემატურად ვატარებთ საინფორმაციო კამპანიებს მართვის უსაფრთხოების საკითხებზე. 2009 წელს ყურადღება გაავამახვილეთ ისეთ თემებზე, როგორიცაა ავტოტრანსპორტის მართვა ზამთრის პირობებში, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოება, სიცოცხლისთვის საშიში ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია. მძღოლებს პერიოდულად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, უტარდებათ შემოწმება ალკოჰოლის მოხმარებასა და სიჩქარის გადაჭარბებაზე. პერიოდულად მონმდება მძღოლების პროფესიული უნარ-ჩვევები.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან შრომის უსაფრთხოების სფეროში

2009 წლის განმავლობაში სისტემატურად იმართებოდა უსაფრთხოების თემებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ჩვენი კონტრაქტორი კომპანიების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით. ეწყობდა უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი გუნდის შეხვედრები, სადაც ხდებოდა რისკებისა და ინციდენტების გაანალიზება, დადებითი გამოცდილების გაზიარება. უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა გასვლითი შეხვედრები, კონტრაქტორი კომპანიების მონაწილეობით, მილსადენების რამდენიმე ობიექტზე, სადაც მშენებლობის პროექტების უსაფრთხოების ჯგუფის წევრები და კონტრაქტორების ხელმძღვანელი პირები ერთობლივად განიხილავდნენ ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროს (HSE) ამა თუ იმ სტანდარტის დახვეწისა და სტანდარტის მოთხოვნების უკეთ შესრულების გზებს. ხელმძღვანელობის მხრიდან უსაფრთხოების სფეროზე ყურადღების გამახვილების ასეთი მაგალითები კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მნიშვნელობას ობიექტებზე მომუშავე პერსონალისთვის. უსაფრთხოების სფეროში მიღწეული განსაკუთრებული შედეგებისათვის ჩვენ ყოველწლიურად ვაჯილდოებთ ყველაზე წარმატებულ კონტრაქტორს BP საქართველოს მიერ დანესებული სპეციალური ჯილდოთი.

ჯანმრთელობის დაცვა

თანამშრომლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესაფასებლად ჩვენ მიიღო პროცედურები ვიყენებთ. ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მრავალ სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მათ შორისაა, ხმაურის დონე, ლურსათის უვნებლობა, სასმელი წყლის ხარისხი. შეფასების პროცედურების მეშვეობით ვსაზღვრავთ ამა თუ იმ რისკის დონეს და საფრთხეებზე რეაგირების ღონისძიებებს.

რეგულარული საინფორმაციო სემინარების მეშვეობით, თანამშრომლებს აქტიურად მოვუწოდებთ, რომ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე. წლის განმავლობაში ყურადღება გაავამახვილეთ მონევის მავნელობის კამპანიასა და კარდიოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკაზე (კამპანია – „მოვუფრთხილდეთ გულს“). სათანადო ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს მზადყოფნას, რომ წინ აღვუდგეთ ფრინველის გრიპის მსგავსი მასშტაბის გამომწვევებს. 2009 წელს განვაახლეთ პანდემიებზე რეაგირების ღონისძიებათა გეგმა და, ჩვენი მზადყოფნის შესამოწმებლად, ჩავატარეთ რეაგირების სავარჯიშო ღონისძიება.

რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

რისკების მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარი – იქნება ეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა თუ გარემოს დაცვის სფეროებში, ხოლო ამ უნარის განმტკიცებისათვის აუცილებელია წვრთნა და მუდმივი მზადყოფნა.

2009 წელს ჩავატარეთ ზღვაში ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სანვრთნელი ღონისძიება სუფსის ტერმინალზე და ანტიფორეცეიული ქიმიური რეაგენტის დაღვრის ინციდენტზე რეაგირების სწავლება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სადგურებზე. აგრეთვე ჩავატარეთ დაღვრაზე რეაგირების სავარჯიშოები საზღვრის გადაკვეთით, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოსა და თურქეთის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფები. გადასინჯა ინციდენტებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, ტრენინგები ჩაუტარდათ ინციდენტების მართვის ჯგუფის (IMT) წევრებს. ინციდენტების მართვის ჯგუფი უკვე მთლიანად ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული.

გარემოს დაცვა

2009 წელს წარმატებით დასრულდა და დაიხურა გასულ წლებში ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

2009 წლის ივნისში ჩატარდა კრედიტორების რიგით მეთერთმეტე აუდიტი, რომელსაც, კრედიტორების სახელით, დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი ატარებს. აუდიტის ფარგლებში შემოწმდა მილსადენების ობიექტებიც. აუდიტის პროცესში არ გამოვლენილა რაიმე შეუსაბამობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროში ნაკისრ ვალდებულებებთან. გასული წლების დასკვნებში აღნიშნული შეუსაბამობა, რომელიც უკავშირდებოდა არასახიფათო ნარჩენების განთავსების საკითხს, დახურულად და შესრულებულად გამოცხადდა მას შემდეგ, რაც 2009 წლის მაისში ექსპლუატაციაში შევიდა BP-ის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. შეუსრულებელი რჩება ვალდებულება, რომელიც უკავშირდება გაფრქვევებს წერტილოვანი წყაროებიდან, თუმცა მიმდინარეობს ამ გაფრქვევების სისტემატური მონიტორინგი.

ჩვენს გარემოსდაცვით პოლიტიკას საფუძვლად უდევს სისტემური მიდგომა ჩვენი ოპერაციებისადმი. 2009 წლის ოქტომბერში ჩატარდა დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის შედეგად არ გამოვლენილა საქართველოში მილსადენების პროექტების ეკოლოგიური მართვის სისტემასთან დაკავშირებული დარღვევები, ხოლო BTC/SCP და ბაქო-სუფსის მილსადენების ოპერაციებმა კვლავ წარმატებით გაიარა სერტიფიცირება საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით.



საგზაო უსაფრთხოების სწავლება სკოლებში

2008 წელს განხორციელებული პილოტური პროექტის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტის – „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ფარგლებში იგეგმება საქართველოს მოზარდ თაობაში საგზაო უსაფრთხოების წესების ცოდნის დონის ამაღლება და მძღოლებს შორის უსაფრთხოების ღვედის მოხმარების კულტურის დამკვიდრება.

პროექტს ახორციელებს ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ – არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც პოპულარიზაციას უწევს საგზაო უსაფრთხოებას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო-პროპაგანდისტული პროექტების განხორციელების გზით. პროექტი მრავალი ქართული და უცხოური ორგანიზაციის მხარდაჭერით სარგებლობს, მათ შორის არიან პროექტის ძირითადი დონორები – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, BP და „საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის“ ფონდი (FIA Foundation) – დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს ღონისძიებათა პროგრამას საგზაო უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურად მდგრადი ტრანსპორტის სფეროებში, აგრეთვე, აფინანსებს სპეციალიზებულ კვლევებს ავტოსპორტის უსაფრთხოებაში.

2009 წელს დაწყებული ეს საგანმანათლებლო პროექტი 48 სკოლის 20 ათას მოსწავლეს მოიცავს და მიზნად ისახავს მოსწავლეების გათვითცნობიერებას გზებზე არსებულ საფრთხეებში, როგორც ქვეითად სიარულის დროს, ისე ავტოტრანსპორტის მართვისას. საგზაო უსაფრთხოების კამპანიის დროს გამოიყენება ბუკლეტები, პლაკატები, ფოტომასალა, ვიდეორგოლები, ღონისძიებები, თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საფრთხეები და მათი თავიდან აცილების ხერხები. გარდა ამისა, გრძელდება მუშაობა, რომ 2010 წლის სექტემბრიდან საგზაო მოძრაობის გაკვეთილები სკოლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში იქნეს შეტანილი.

პროექტის დირექტორის, ეკა ლალიაშვილის განცხადებით, „პილოტური პროექტის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა 48 სკოლის 8-9 წლის ასაკის მოსწავლეები. ჩვენი კვლევებით, პროექტის ფარგლებში ჩატარებული კამპანიის შედეგად, საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის დონე ბავშვებს შორის 38%-ით არის გაზრდილი. ეს იმედის მომცემი დასაწყისია, მაგრამ უდიდესი ძალისხმევა გემართებს, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რომ უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. BP-ის მონაწილეობა ამ პროექტში უაღრესად ფასეულია არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაჩინო მაგალითის გამო, რომელსაც BP საკუთარი საქმიანობით იძლევა, რომელშიც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას ერთ-ერთი უდიდესი ადგილი უკავია“.



ნარჩენების მართვა
BP-ის არასახიფათო
ნარჩენებისათვის
განკუთვნილი
ევროკავშირის
სტანდარტების შესაბამისი
ნაგავსაყრელი

ნარჩენების მართვა

BP-ის საქმიანობის პროცესში ნარმოშობილი ნარჩენების განთავსების საკითხი აქტუალური გახდა BP-ის საქართველოში შემოსვლისთანავე, 1990-იანი წლების შუა პერიოდში. სანარმოო ნარჩენების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობის დროს და მშენებლობის მომდევნო პერიოდში, რის გამოც ნარჩენების განთავსების საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დაისვა.

რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ, 2009 წლის მაისში ექსპლუატაციაში გაეშვა BP-ის მყარი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომელიც პირველი ევროკავშირის სტანდარტებით მოწყობილი ნაგავსაყრელია საქართველოში. ამ ობიექტის ამოქმედებას წინ უძღოდა ნაგავსაყრელისთვის შესაფერისი ტერიტორიის შერჩევა და მიწის ნაკვეთის შესყიდვა, კვალიფიციური კონტრაქტორების მოძებნა და კონტრაქტის გაფორმება, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება, საჯარო კონსულტაციების გამართვა, უსაფრთხო პროცედურების დანერგვა ნარჩენების დროებითი შენახვის პუნქტებში, მთავრობისგან მშენებლობის ნებართვისა და საჭირო ლიცენზიების მოპოვება, და ბოლოს, უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები. ამ ობიექტის ამოქმედება ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ნარჩენების მართვის სათანადო პრაქტიკის დანერგვას ითვალისწინებდა, წარმატებით არის შესრულებული, როგორი რთულიც არ უნდა ყოფილიყო თავად პროცესი.

ამ ნაგავსაყრელის მშენებლობასთან ერთად, ჩვენ და ჩვენმა პარტნიორებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების კომპანიებში, ავიღეთ ვალდებულება, რომ დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას, რათა ქ. რუსთავთან, BP-ის ნაგავსაყრელის სიახლოვეს, მოეწყოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. 2009 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმდა ხელშეკრულება ამ ინიციატივის დაფინანსების თაობაზე. პარტნიორების სახელით, BP-მ აიღო ვალდებულება, რომ 1,1 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტით დააფინანსებს მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობას, ხოლო ევრობანკისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ერთობლივი დაფინანსება დაახლოებით 3,5 მილიონ დოლარს შეადგენს.

ISO სტანდარტის სასერტიფიკაციო აუდიტის ფარგლებში ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ობიექტების დათვალიერების შემდეგ აღინიშნა, რომ ამ ობიექტებზე სისუფთავისა და ზოგადი წესრიგის დაცვა მაღალ დონეზეა აყვანილი. აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემონგების დროს ნარჩენების ყველა ურნა და კონტეინერი სათანადოდ იყო მარკირებული, ნარჩენები დახარისხებული იყო შესაბამისი ნარჩენების მქონე კონტეინერებში. სტანდარტების მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა ქიმიკატების შენახვის პირობებიც.

ეკოკომპენსაცია

საქართველოს მთავრობასთან მივალწიეთ პრინციპულ შეთანხმებას მილსადენების მშენებლობის დროს გაკაფული ტყის ეკოკომპენსაციის საკითხზე.

ეკოკომპენსაციის სხვადასხვა ვარიანტის დეტალური განხილვისა და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, მთავრობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ BP 3,5 მილიონი დოლარით დააფინანსებს პროექტს, რომელიც სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. დაფინანსების თანხა ამ საერთაშორისო პალეონტოლოგიური მნიშვნელობის მქონე დაცული ტერიტორიის მოვლა-შენარჩუნებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს მოხმარდება.

გარემოს დაცვის სისტემური მენეჯმენტი

2009 წელს ნარჩენების მართვისა და ეკოკომპენსაციის საკითხებში მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლის გარდა, აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი ყოველდღიური ძალისხმევა, რომ ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით და უზრუნველყოთ სათანადო გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ნორმატივების ზედმიწევნით დაცვა.



BP-ის თანამშრომლები
სარემონტო-
პროფილაქტიკური
სამუშაოების დროს
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის პირველ
ნავთობსაქაჩ სადგურზე


ჩვენი ოპერაციების ეკოლოგიური უსაფრთხოება ჩვენი საქმიანობის ლიცენზიის განუყოფელი ნაწილია და მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მილსადენები კვეთს რამდენიმე დაცულ ტერიტორიას, რომელთაგან ზოგიერთს IUCN-ის საკონსერვაციო სტატუსი გააჩნია. ჩვენ მიერ განხორციელებული მშენებლობის პროექტების უმრავლესობა გარემოს დაცვის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი, მათ შორისაა, ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარი და მეორადი შემაკავებელი ობიექტები მილსადენების კოდიანას მონაკვეთზე. გარდა ამისა, მილსადენების წალკის რაიონზე გამავალ მონაკვეთზე, როგორც ეკოლოგიურად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერიტორიაზე შემოღებული გაუფრთხილების დეტექტირების დამატებითი ღონისძიებები უზრუნველყოფს, რომ, ჩვენი ობიექტების ეფექტური ექსპლუატაციის პარალელურად, გარემოს დაცვის მოთხოვნები სრულად იყოს გათვალისწინებული.

თავისთავად, ყველა ამ პროექტის დანიშნულება გარემოს დაცვაა, თუმცა ამ პროექტების ფარგლებში დამატებით სრულდება ეკოლოგიური გარემოს გასაუმჯობესებელი სხვადასხვა სამუშაო, როგორიცაა, მაგალითად, პროექტების ჯგუფის მიერ ფლორის იშვიათი სახეობების გადარგვა ბაკურიანის ტერიტორიაზე, ბიოლოგიური აღდგენის სამუშაოების ჩატარება მშენებლობის დროს ადგილობრივი კონტრაქტორების მიერ დროებით დაკავებულ მიწის ფართობებზე, მათ შორის, აღჭურვილობისა და მიწების დროებითი დასაწყობებისა და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილებში. ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარის ტერიტორიაზე დავთესეთ ბალახი და ჩავატარეთ ლანდშაფტის ჰარმონიზაციის სხვა სამუშაოები, რითაც, შეძლებისდაგვარად, შევამცირეთ ვიზუალური ზემოქმედება გარემოზე.

ნავთობის დაღვრის ინციდენტები

2009 წელს დამაკმაყოფილებელი იყო ერთ-ერთი ძირითადი გარემოსდაცვითი მაჩვენებელი, რომელიც ნავთობის დაღვრების ინციდენტების რაოდენობას უკავშირდება. წლის განმავლობაში აღინიშნა დაღვრის ორი ინციდენტი და ორივე მათგანი მილსადენზე უკანონო მიერთების მცდელობით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ღონისძიებას ვატარებთ ამ უკანონო საქმიანობის პრევენციისთვის, ამ ინციდენტების სრული აღკვეთა სცდება ჩვენი პირდაპირი კონტროლის სფეროს. ორივე შემთხვევაში მოვახდინეთ დაღვრაზე რეაგირების ჯგუფების მობილიზება და გავატარეთ დაღვრის შედეგების სალიკვიდაციო ქმედითი ღონისძიებები, მოვახდინეთ დაღვრილი მოცულობის უმეტესი ნაწილის შეკავება და შეგროვება, გავწმინდეთ დაბინძურებული ტერიტორია და მინიმუმამდე შევამცირეთ მავნე ზემოქმედება გარემოზე.

ნავთობის დაღვრის ინციდენტების რაოდენობა 2005-09



ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები

იგეგმება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ნავთობსაქაჩ სადგურებსა და ნავთობსადენის სხვა ობიექტებზე. მე-2 ნავთობსაქაჩი სადგურისა და წალკაში მდებარე ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის ტერიტორიაზე დავამონტაჟეთ და ექსპლუატაციაში გავუშვით ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები, მათ შორის, მბრუნავი ბიოფილტრი და მისთვის განკუთვნილი ტუმბოები, მილგაყვანილობა და დამხმარე გამწმენდი მოწყობილობა. ამ დანადგარში განმუშავებული წყლის მეორადი ბუნებრივი განმუშავების დანადგარის დაბოლოებაზე ხელოვნურად გავაშენეთ ლელიანი.

მიწის საფარის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების დაცვა

ნავთობსადენისა და გაზსადენის სამშენებლო დერეფანში და დროებითი ობიექტების ტერიტორიაზე გრძელდება მიწის საფარის კომპლექსური აღდგენის ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბიოლოგიურ აღდგენას, ბალახის თესვას და დაკვირვებას ეროზიულ უბნებზე. მაგალითად, მშენებლობის დასრულების შემდეგ, პირვანდელ მდგომარეობაში აღვადგინეთ სამკილომეტრიანი გზა, რომელსაც ნავთობის ჩამოსაცლელი რეზერვუარის მშენებლობის დროს ვიყენებდით. ეროზიის განვითარების რისკის შესამცირებლად, გზის გაყოლებით დავრგეთ მცენარეები. ამისათვის შევარჩიეთ ამ ტერიტორიაზე დარგვისთვის შესაფერისი ადგილობრივი ჯიშები, განვსაზღვრეთ ნიადაგის ოპტიმალური პირობების შექმნისა და ტყის ჰაბიტატის აღდგენის მეთოდები. 2009 წლის შემოდგომაზე დავრგეთ შვიდი ათასამდე ნერგი. ნერგების დარგვა 2010 წელსაც გაგრძელდება.

ბაქო-თბილისი-
ჯეიჰანის მილსადენის/
სამხრეთ კავკასიური
გაზსადენის პროექტების
ბიომრავალფეროვნების
მონიტორინგის პროგრამა
– ზოოლოგიური
კომპონენტი: წყლის
ჰაბიტატების კვლევა
ნემსილაპია: *Lindenia*
tetraphylla



ვაგრძელებთ BTC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ეკოლოგიური კომპონენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა ნაწილია ფლორის იშვიათი სახეობების მრავალფეროვნების მონიტორინგი. 2009 წელს ჩატარებული მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით, 2007 წელთან შედარებით, სახეობათა მრავალფეროვნების მხრივ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესებულია. BTC/SCP მილსადენების გასხვისების დერეფნის მიმდებარე ფართობებზე თავდაპირველ ჰაბიტატს დაუბრუნეთ მოყვავილე ბალახის 11 იშვიათი სახეობა და ვაკვირდებით მათი გახარების პროგრესს.

ეკო-პრემიების პროგრამა

2009 წელს გაიცა გრანტები ახალი სამწლიანი გარემოსდაცვითი ინიციატივის – „ეკო-პრემიების“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც, ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვახორციელებთ. ამ ინიციატივას ორი წლის განმავლობაში 600 ათასი დოლარით ვაფინანსებთ, ხოლო პროგრამის მიმდინარეობის მესამე წელს, დამატებით, 300 ათასი დოლარით დაფინანსების შესაძლებლობას განვიხილავთ. ამ ინიციატივის ფარგლებში, გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები წარმოდგენენ პროექტებს ეკონომიკურ და გარემოს დაცვის სფეროებში, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზეა გათვლილი. პროგრამას ადმინისტრირებას უწევს „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“.

საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების თემატიკა მრავალფეროვანია. 2009 წელს დაფინანსებული პროექტები ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოტურიზმისა და დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

2009 წელს 51 საკონკურსო წინადადება იქნა წარმოდგენილი. წინადადებებს აფასებს ჟიური, რომელშიც შედიან მთავრობის შესაბამისი სფეროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. შერჩევის მეორე ეტაპზე გასული პროექტებიდან გამარჯვებულს გამოაგზავნიან BP და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“.

2009 წელს პრემიით აღინიშნა ხუთი პროექტი, მათ შორის, ხორბლის ადგილობრივი ჯიშების მარკეტინგული ქსელის აწყობა, ტურიზმის განვითარება დაცულ ტერიტორიებზე, საქართველოს ფლორის ზოგიერთი სახეობის კონსერვაცია და კომერციული გამოყენება, აჭარის ველური ფლორის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სახეობების მოყვანისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, დაინტერესებული მხარეების ჩართვა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროცესში.

ადამიანთა რესურსი

რას აკეთებს BP საქართველოში მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად?

ჩვენი ბიზნესის სტაბილურობისთვის უმნიშვნელოვანესია ჩვენი თანამშრომლების რესურსი და მათი კვალიფიკაცია. მიგვაჩნია, რომ საქართველოში მდგრადი ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ადგილობრივი თანამშრომლების პროფესიული ზრდა და ისეთი ბიზნესგარემოს შექმნა, რომელშიც წინსვლის შესაძლებლობა ყველას მიეცემა.

ფოტოებზე

- 1 ტემპერატურის გადამწოდის დაკალიბრება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მეორე ნაფთობსაქაჩ სადგურზე
- 2 სამუშაო პროცესი სუფსის ტერმინალზე
- 3 ძირითადი სატუმბო შენობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პირველ ნაფთობსაქაჩ სადგურზე
- 4 ნედლი ნაფთოს რეზერვუარი სუფსის ტერმინალზე



ჩვენი თანამშრომლები
www.bpgeorgia.ge



ქართველების ტერმინალი

სუფსის ტერმინალის მენეჯერი, ზაზა რამიშვილი პასუხისმგებელია ობიექტზე, რომელსაც ბაქო-სუფსის მილსადენით დღეში დაახლოებით 86 ათასი ბარელი ნავთობი მიეწოდება და სადაც, ჩვეულებრივ, კვირაში ერთი ტანკერი იტვირთება დაახლოებით 630 ათასი ბარელი ნავთობით.

ზაზა სპეციალობით ქიმიკოსი და ინჟინერ-ტექნოლოგია. მან კარიერა BP-ში 1998 წელს სუფსის ტერმინალზე სტაჟიორ-ოპერატორად მუშაობით დაიწყო. მოგვიანებით ის ექსპლუატაციის ზედამხედველი გახდა, ხოლო 2007 წელს ტერმინალის მენეჯერად დაინიშნა.

ამ ხნის განმავლობაში ზაზა კომპანიაში ბევრი ცვლილების მომსწრე გახდა, თუმცა ორი მოვლენა მისთვის განსაკუთრებით გამორჩეულია. პირველი არის სულ უფრო მეტი აქცენტის გადატანა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროებზე. „გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, ჩვენს დარგში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ მუშაობის საბოლოო მაჩვენებლებს, არამედ უშუალოდ სამუშაოს შესრულების პროცესს. პოტენციური საფრთხეების ანალიზი, უსაფრთხოების რისკების შეფასება, ყოველი სამუშაოს შესრულების მეთოდებზე დეტალური კონტროლის დანერგვა BP-ში ჩვენი ყოველდღიური სამუშაოს განუყოფელი ნაწილია“.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება ტერმინალზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეების გაზრდილ რაოდენობას უკავშირდება. „ჩემთვის, რა თქმა უნდა, ტერმინალის მენეჯერად მუშაობა ძალზე საამაყოა, თუმცა არანაკლებ საამაყოა, რომ სუფსის ტერმინალი უკვე მთლიანად საქართველოს მოქალაქეებით არის დაკომპლექტებული. ამ მხრივ წინსვლა სახეზეა.“




კადრების ნაციონალიზაცია

2009 წლის ბოლოსთვის ადგილობრივი თანამშრომლების ხვედრითმა წილმა კომპანიის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში 95%-ს მიაღწია. 2004 წელს, როცა კადრების ნაციონალიზაციის ეტაპობრივი პროცესი დაიწყო, ეს მაჩვენებელი 73% იყო.

ჩვენი ამოცანაა, რომ, კომპანიაში ადგილობრივი თანამშრომლების რიცხვის ზრდასთან ერთად, ხელი შევუწყოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ ზრდას, რაც მათ ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებაში დაეხმარება. ამჟამად კომპანიის ფინანსურ, კადრების, მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის, იურიდიულ, ბიზნესსერვისების, ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის, უშიშროების, სოციალური პასუხისმგებლობის, გარემოს დაცვისა და ექსპლუატაციის განყოფილებებს ადგილობრივი კადრები ხელმძღვანელობენ. წლის განმავლობაში ადგილობრივი თანამშრომლები დაინიშნენ აგრეთვე რამდენიმე შუალედური რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

BP საქართველოს პერსონალის შემადგენლობა 2009 წელს



სტრუქტურული ცვლილებები კომპანიაში

გრძელდება გარდამავალი პროცესი, რომელიც BP საქართველოს მილსადენების სისტემების მშენებელი კომპანიიდან მილსადენების ოპერატორ კომპანიად გარდაქმნას გულისხმობს. ეს ცვლილება ჩვენი საქმიანობის სპეციფიკით არის გამოწვეული და თან ახლავს ცვლილებები კომპანიის საკადრო შემადგენლობაში, რადგან ოპერატორ კომპანიას განსხვავებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი ესაჭიროება.

2009 წელს შემცირდა ჩვენი თანამშრომლების საერთო რაოდენობა. ეს, ძირითადად ტრანსპორტისა და უშიშროების დაცვის ფუნქციების კონტრაქტორი კომპანიებისთვის გადაცემით იყო გამოწვეული, რაც 2009 წელს განხორციელდა. მშენებლობის პროექტების დასრულებასთან ერთად იკლო უცხოელი თანამშრომლების რიცხვმა. უცხოელები რჩებიან მხოლოდ ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რომლებიც მაღალ კვალიფიკაციასა და ფართო გამოცდილებას მოითხოვს. ჩვენი მიზანია, რომ უზრუნველყოთ ადგილობრივი კადრების პროფესიული ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მომავალში მათ ამ თანამდებობებზე უცხოელები ჩაანაცვლონ.



ზრუნვა ჩვენს თანამშრომლებზე

ჩვენი თანამშრომლების შრომითი საქმიანობის გარდა, ჩვენ მათ პირად კეთილდღეობაზეც ვზრუნავთ. 2009 წელს შევქმენით „თანამშრომელთა დახმარების პროგრამა“ – სატელეფონო საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც თანამშრომლებს პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაში დაეხმარება. შეიქმნა ვებ-გვერდი, რომლითაც თანამშრომლებს მარტივად მიუწვდებოდათ ხელი ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება მათ მონაწილეობას 2007 წელს ამოქმედებულ „დანაშოვის დაგროვების გრძელვადიან გეგმაში“. უფრო მოქნილი გაეხადეთ სარეკრეაციო პოლისის პირობები, რომლის მიხედვით თანამშრომლებს უფრო მეტი თავისუფლება ენიჭებათ პოლისით გათვალისწინებული მომსახურების არჩევაში.

ღირსეული სამუშაო გარემო

ჩვენ მივისწრაფვით, რომ შევინარჩუნოთ ღია სამუშაო გარემო, სადაც ყველას პატივისცემით და ღირსებით ეპყრობიან. 2009 წელს განვაახლეთ და დავხვეწეთ „კომპანიის შინაგანაწესი“ – დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია BP-ის თანამშრომლისთვის საჭირო ძირითადი ინფორმაცია კომპანიასთან შრომითი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტზე, თანამშრომლის უფლებებსა და მოვალეობებზე. აღსანიშნავია, რომ პირველად შევქმენით ამ ტიპის დამოუკიდებელი დოკუმენტი, ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელიც კონკრეტულად საქართველოში BP-ის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი.

BP საქართველოს თანამშრომლები

	2005	2006	2007	2008	2009
საქართველოს მოქალაქეები	398	492	499	498	386
BP-ის თანამშრომლები	271	274	280	323	316
სააგენტოს თანამშრომლები	127	218	219	175	70
უცხოეთის მოქალაქეები	138	162	92	38	19
BP-ის თანამშრომლები	38	26	26	12	9
სააგენტოს თანამშრომლები	100	136	66	26	10
სულ თანამშრომელთა რაოდენობა	536	654	591	536	405

კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა BP-ის „ქცევის კოდექსის“ დაცვას. ჩვენი მისწრაფება ღია და სამართლიანი სამუშაო გარემოსადმი „ქცევის კოდექსზე“ არის დაფუძნებული. კოდექსი გამოხატავს BP-ის თითოეული თანამშრომლის პირად ვალდებულებას, რომ იმოქმედოს კეთილსინდისიერად, განმარტავს რა ქცევის ნორმებს, რომელთა შესრულება მოეთხოვება ყველა თანამშრომელს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა; ურთიერთობა თანამშრომლებთან; საქმიანი პარტნიორობი; მთავრობები და საზოგადოების წევრები; კომპანიის აქტივები და ფინანსური ნესრიგი. ჩვენ სავსებით ვაცნობიერებთ, რომ ამ სფეროში მომავალშიც სათანადო ყურადღება გვმართებს, რათა რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ საქმიანი ეთიკის დაცვასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელსაც თანამშრომლები ყოველწლიური შიდა სერტიფიცირების პროცესში წამოჭრიან.

2009 წელს თანამშრომლებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ BP საქართველოს თანამშრომლები დარწმუნებულები არიან, რომ კომპანია, საკუთარი კომერციული მიზნების რეალიზაციისას, „ქცევის კოდექსსა“ და კანონის მოთხოვნებს წინა პლანზე აყენებს. კონფიდენციალურად გაცემული პასუხები მოწმობს, რომ თანამშრომლებს არ ეშინიათ, რომ მათ პასუხი მოეთხოვებათ, თუ ხმამაღლა მიუთითებენ ნაკლოვანებებზე. თანამშრომელთა აზრით, ხელმძღვანელობა ცდილობს ხაზგასმით წარმოაჩინოს, რომ სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვა თითოეული თანამშრომლის მოვალეობაა.

ადგილობრივი რესურსი


როგორ მონაწილეობს კომპანია საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში?

ჩვენ მივისრწაფებით, რომ საქართველოში, ისევე როგორც ჩვენი საქმიანობის სხვა ქვეყნებში, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა ჩამოვაყალიბოთ ყველასთან, ვისაც ჩვენი საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით ეხება. ჩვენ ვცდილობთ გამოვეხმაუროთ ადგილობრივი საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და, თანამშრომლობის გზით, მონაწილეობა მივიღოთ ცალკეული ადამიანებისა თუ საზოგადოების ჯგუფების შესაძლებლობების გაფართოებასა და ადგილობრივი ინსტიტუტების განმტკიცებაში.

ფოტოებზე

- 1 პროექტების მართვის კოლეჯის კურსდამთავრებულები
- 2 რძის გადამამუშავებელი საწარმო სოფელ წნისში, ახალციხის რაიონი
- 3 ლექცია თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში
- 4 სადემონსტრაციო აგრონომიული მეურნეობა სოფელ მოლითში, ბორჯომის რაიონი

 **სოციალური პროექტები**
www.bpgeorgia.ge





სტრატეგია

2008 წელს პარტნიორებთან შევთანხმეთ საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა 2009 წელს დავიწყეთ. 2009-2011 წლებში საქართველოში, ამ სტრატეგიით გათვალისწინებულ პროექტებში, წელიწადში, საშუალოდ, 3 მილიონი დოლარის ინვესტირებას ვგეგმავთ.

ჩვენი ამოცანაა დადებითი ურთიერთობის შენარჩუნება მოსახლეობასთან და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ჩვენი ობიექტების მიმდებარე რაიონებში. ჩვენი ოპერაციების გეოგრაფიული მდებარეობისა და მეზობელი დასახლებების ეკონომიკური პროფილის გათვალისწინებით, სოფლად ჩვენი ინიციატივების ძირითადი თემა სოფლის მეურნეობის მდგრადი პროექტების რეალიზაცია იქნება.

ახალი სტრატეგიის ფარგლებში, პროექტების რეალიზაციის საწყის ეტაპზე გავითვალისწინეთ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (კერძოდ, 2006 წელს დაწყებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მეორე სამწლიანი ეტაპის) დამოუკიდებელი შეფასების შედეგები, აგრეთვე პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ შუალედური შეფასების ანგარიშის დასკვნები. „ფერმერები და ბაზარი“ არის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მილსადენების მარშრუტების ახლომდებარე რაიონების მოსახლეობის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ნაწილის შემოსავლების ზრდას, აგრარული სექტორის მომსახურების ობიექტების შექმნისა და პროდუქციის ბაზრებზე გატანის ხელშეწყობის გზით.

დამოუკიდებელი შეფასება მიემხრო მოსაზრებას, რომ აუცილებელია გაგრძელდეს სოფლის მეურნეობისა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების ინიციატივები, მათ შორის, სათემო ორგანიზაციების გაძლიერება და მოსახლეობის დახმარება ახალი ბიზნესების დასაწყებად.

ურთიერთობა დაინტერესებულ ჯგუფებთან

ვაგრძელებთ ურთიერთობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.

„მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმის“ თანახმად, ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები რეგულარულად ხვდებიან სოფლების მოსახლეობას, სოფლის თავკაცებს, რწმუნებულებს, მომჩივნებს, მინის მესაკუთრეებს, რეგიონების გუბერნატორებსა და რაიონების გამგებლებს. 2009 წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას კომპანია BP-ისა და მისი საქმიანობის შესახებ, ესაუბრებოდნენ უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე, იხილავდნენ მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და საზოგადოებრივი ინვესტირების პროექტებს. ჩვენ მოვამზადეთ და მოსახლეობას დაუფრთხიეთ 2010 წლის კალენდრები, რომლებიც შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას, თუ რა უსაფრთხოების ზომებს უნდა მიმართოს მოსახლეობამ მილსადენების სიახლოვეს, როგორ უნდა იმოქმედოს და ვის უნდა დაუკავშირდეს ნავთობისა და გაზის გაჟონვის ინციდენტის დროს, ვის უნდა მიმართოს კომპანიაში საჩივრებით ან შეკითხვებით. გარდა ამისა, კალენდარში მოსახლეობა გაეცნობა ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს, სასარგებლო რჩევებს საყოფაცხოვრებო პირობებში მათ დასაწვად და ენერგიის დაზოგვის სხვა მარტივ ხერხებს.



.....
 სოციალური და
 განსახლების სამოქმედო
 გეგმის საექსპერტო
 კომისიის შეხვედრა
 ადგილობრივ
 მოსახლეობასთან
 სოფელი ჭიხარულა,
 ბორჯომის რაიონი

რამდენიმე წელია ვმუშაობთ ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების ფარგლებში გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. 2009 წლის სექტემბერში ჩატარდა სოციალური და განსახლების სამოქმედო გეგმის საექსპერტო კომისიის საბოლოო აუდიტი. ამ კომისიას „განსახლების სამოქმედო გეგმით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ევალება. კომისია აგრეთვე ამოწმებს, თუ როგორ მიმდინარეობს ღონისძიებები, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის საარსებო საშუალებების აღდგენასა და გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. კომისიის მოვალეობებში შედის ამ ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა და შეფასება, თუ რამდენად არის აღდგენილი მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონე. რამდენიმე დღის განმავლობაში დამოუკიდებელი საექსპერტო კომისიის წევრები ხვდებოდნენ მოსახლეობას, მინის მესაკუთრეებს, რაიონის გამგებლებსა და მომჩივანებს.

კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა „ბრწყინვალე პროგრესი“ მინის ნაკვეთების თავდაპირველი მესაკუთრეებისათვის სარგებლობის უფლებით დაბრუნების პროცესში 2008 წლის მეორე ნახევარში და 2009 წელს. მილსადენის დერეფანში მოქცეული მიწით სარგებლობის ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია კერძო მესაკუთრეების 83%-თან. გრძელდება მუშაობა, რომ დადგინდეს ადგილზე არმყოფი მიწის მესაკუთრეების ადგილსამყოფელი და მოხდეს მათთან დაკავშირება ხელშეკრულებების გასაფორმებლად. შემონებამ უჩვენა, რომ საარსებო საშუალებები არსებითად აღდგენილი

ან პირვანდელთან შედარებით გაუმჯობესებულია. კომისიამ მიუთითა რამდენიმე ტერიტორია, რომელიც ინტენსიურად არის ათვისებული სასოფლო-სამეურნეო მიზნებით და სადაც გაზრდილი მოსავლის მიღების პოტენციალი არსებობს. ჩვენი აზრით, ამ შედეგის მიღება თესვის რამდენიმე სეზონის გასვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. კომისიამ აღნიშნა, რომ მოსახლეობა დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ მათთან მიმდინარეობს კონსულტაციები და მათ მიენოდებათ საჭირო ინფორმაცია. მოსახლეობის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისა და მინის საკითხების თანამშრომლების აქტიურობა ამ მიმართულებით. ჩვენ სავსებით ვაცნობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მომავალშიც კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა შევინარჩუნოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში ჩვენ უამრავ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ, მათ შორისაა: საერთაშორისო განვითარების სააგენტოები – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA); საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ჩვენი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი, ჩვენი სახელით, ახორციელებს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამებს, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი. ზოგიერთი მათგანი ხელმძღვანელობს კონკრეტულ ინიციატივებს, როგორიცაა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სწავლება სკოლებში, კულტურული მემკვიდრეობის პროექტების მხარდაჭერა ხელოვნებისა და არქეოლოგიის სფეროებში. ჩვენ ვთანამშრომლობთ უამრავ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რაიონის სკოლებით დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლებით დამთავრებული.



გარემონტებული
სპორტული დარბაზი
სოფელ ლესაში
მცირე გრანტების
საინვესტიციო პროგრამა
სკოლებისთვის

აქტიურად ვმუშაობთ სათემო ორგანიზაციებთან და ვეხმარებით მათ ორგანიზაციული პოტენციალის განვითარებაში, აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შეძენაში, რაც მათ საშუალებას მისცემთ, რომ დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა პროცესებში – იქნება ეს კონფლიქტების მოგვარება, ბიზნესის განვითარება თუ ადგილობრივი მასშტაბის პროექტების განხორციელება. ჩვენი ეს ძალისხმევა სათემო ცხოვრების გამოცოცხლებასა და გაჯანსაღებას ისახავს მიზნად.

ვაგრძელებთ ადგილობრივი მედიის განვითარების პროექტის მხარდაჭერას, რომელსაც „ბრიტანეთის საბჭო“ ახორციელებს. ამ წლების განმავლობაში პროგრამის შინაარსი მონაწილეთა საჭიროებების მიხედვით იცვლებოდა. პროგრამა თავდაპირველად შეიქმნა ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმებზე ადგილობრივი მედიის უკეთ ინფორმირებისათვის, მოგვიანებით აქცენტი გადატანილი იქნა ინგლისური ენის შესწავლაზე, ხოლო ამჟამად პროგრამის ფარგლებში მსმენელებს საშუალება ეძლევათ, რომ კვალიფიკაცია აიმაღლონ სამაუწყებლო და ინტერნეტ-მედიის განვითარების აქტუალურ საკითხებში. 2009 წელს პროგრამის თანადამფინანსებლები გახდნენ ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ და HSBC ბანკი.

განათლების ხელშეწყობა

განათლების სფეროს ხელშეწყობა საქართველოში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის დაწყებისთანავე მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა სწრაფ შედეგებზე გათვლილი პროექტები, როგორცაა სკოლის შენობების რემონტი, და აგრეთვე გრძელვადიანი ინიციატივებიც, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ვაგრძელებთ მცირე ბიუჯეტის პროექტების, ძირითადად, სკოლების კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება ბაქო-სუფსის მილსადენის დერეფნიდან ორ კილომეტრიან ზოლში მდებარე სკოლებისთვის. 2007 წელს დაწყებული ამ პროექტის დადებითი შედეგებით უკვე ისარგებლა 89 სკოლამ. სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის გარდა, პროექტები ითვალისწინებდა სკოლების სამეურვეო საბჭოების კვალიფიკაციის ამაღლებას სკოლის მართვის საკითხებში. ჩვენი ობიექტების სიახლოვეს მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების უკეთ გასაცნობად, ამ საკითხებზე მოსწავლეებს შორის ჩავატარეთ ვიქტორინები.

ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მხარდაჭერას. სკოლა 2006 წელს გაიხსნა BP-ის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს, შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობების მონაწილეობით. იგი მიზნად ისახავს ეკონომიკის სფეროში მაღალი დონის სამაგისტრო სწავლებისა და კვლევების ხელშეწყობას. სკოლამ უკვე გამოუშვა კურსდამთავრებულითა ორი ნაკადი – სულ 49 სტუდენტი, ხოლო სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. სკოლის კურსდამთავრებული მაგისტრანტების ერთი ნაწილი დასაქმდა კერძო და სახელმწიფო სექტორში. რამდენიმე მათგანი სწავლას აგრძელებს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მსოფლიოში ცნობილ უნივერსიტეტებში ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში.



ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

სხვადასხვა ინიციატივის მეშვეობით ხელს ეუწყობთ ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას. ამ ინიციატივებიდან ზოგიერთი პირდაპირ კავშირშია ჩვენს კომერციულ საქმიანობასთან, ხოლო დანარჩენები მიზნად ისახავენ ეკონომიკური პოტენციალის შექმნას უფრო ფართო მასშტაბით.

იმის გათვალისწინებით, რომ მილსადენების მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, ჩვენ დავეინყეთ აგრარული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სამწლიანი პროექტი – „ფერმერები და ბაზარი“, რომელიც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მარკეტინგული კომპონენტია. პროექტი ითვალისწინებს ფერმერების ტექნიკურ და საკონსულტაციო დახმარებას, რომ მათ გააუმჯობესონ საკუთარი პროდუქციის ხარისხი და პროდუქცია უფრო მომგებიანად შესთავაზონ ბაზარს. 2009 წელს გაიხსნა საკონსოლიდაციო ცენტრები, სადაც რაიონის მასშტაბით გაერთიანებულ ფერმერთა ჯგუფებს შეუძლიათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ მათი პროდუქციის პოტენციურ მყიდველებთან.

ჩვენი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს გრანტების გამოყოფასა და ტრენინგების ჩატარებას ბიზნესის დაწყების მსურველი ქალებისათვის. 2007 წელს დაწყებული ამ პროექტის ფარგლებში გამოყოფილი გრანტებით 50 მცირე ბიზნესი შეიქმნა, ხოლო ფინანსური დახმარებით სულ 88 ქალმა ისარგებლა. ქალების თაოსნობით გახსნილია სხვადასხვა სფეროს ობიექტები, მათ შორისაა ვაჭრობა კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით, მეცხოველეობა, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, ხელნაკეთი ნივთები, მზარეულის მომსახურება, კომპიუტერული მომსახურება, სილამაზის სალონი.

ჩვენს პარტნიორებთან – IFC-სა და CIDA-სთან ერთად დავაფინანსეთ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, კერძოდ, მთავრობის დახმარებას მარეგულირებელი სისტემის რეფორმირების, აგრეთვე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურების გამარტივების საკითხში და ამით ბიზნესებისთვის ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნას. გარდა ამისა, გამარტივდება ინფორმაციის მოპოვების პროცესი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. 2009 წელს ამ ინიციატივის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ სასურსათო სექტორზე, მათ შორის, სურსათის უვნებლობის საკითხების დახვეწაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან 2009 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს „საზოგადოების მომსახურების ცენტრი“, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას, დაზოგავს ადგილობრივი მენარმეების დროს, გაამარტივებს და უფრო გამჭვირვალეს გახდის განაცხადების მიღების პროცესს. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, გარკვეული სამუშაო ჩატარდა საგადასახადო პროცედურების გამარტივების მიმართულებითაც.



პროექტების მართვის კოლეჯი: მენეჯმენტი უკეთესი მომავლისთვის

2007 წელს BP-ის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ენერგეტიკის დარგში განთლებადი არსებული ხარვეზების გამოვლენას ისახავდა მიზნად, დაადგინა, რომ ერთ-ერთი უმთავრესი სფერო, რომელშიც ქართული კომპანიები კვალიფიკაციის ნაკლებობას განიცდიან, არის პროექტების მართვა, რაზეც ადგილობრივ კონტრაქტორებთან ჩვენი მუშაობის გამოცდილებაც მეტყველებს. ჩვენი კონტრაქტორების ერთი ნაწილი სირთულეებს წააწყდა პროექტების მართვის საჭირო უნარების უქონლობის გამო, ხოლო ზოგიერთი მათგანი საკუთარი ბიზნესის შენარჩუნების პრობლემის წინაშეც კი აღმოჩნდა.

BP-ისა და ნავთობისა და გაზის პროექტებში მისი პარტნიორების მიერ განხორციელებული „რეგიონალური განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, საქართველოში პროექტების მართვის კოლეჯის (PMC) დაარსება გადაწყდა. კოლეჯს ხელმძღვანელობს მმართველთა საბჭო, რომელშიც შედიან BP-ის, პროექტების მართვის სწავლების სფეროში წამყვანი ორგანიზაციის – ESI International-ისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლები. სამი წლის განმავლობაში კოლეჯის გახსნისა და ფუნქციონირების ხარჯებს BP 1,5 მილიონი დოლარით აფინანსებს.

პროექტების მართვის კოლეჯის სასწავლო პროგრამა რამდენიმე მოდულისგან შედგება. მათი წარმატებით გავლის შემთხვევაში, მსმენელები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს და შეიძენენ პროფესიულ ცოდნას და აუცილებელ პიროვნულ უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროგრამაში შედის შემდეგი მოდულები – პროექტების მართვა; დაგეგმვა და ხარჯების კონტროლი; რისკების მართვა; პროექტების გაძოვლა და კომუნიკაცია; ხარისხის კონტროლი; პროექტების მართვის პრაქტიკაში გამოყენება, საგამოცდო მოსამზადებელი კურსი პროექტების მართვის დიპლომირებულ სპეციალისტის (PMP) სერტიფიკატის მისაღებად, რომელსაც Project Management Institute® გასცემს.

ლექციების კურსის ჩასატარებლად მონეწეული არიან ESI International-ის მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები. კურსის ბოლოს მსმენელებს ენიჭებათ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის „პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი“.

პირველ სასწავლო წელს კოლეჯში ჩარიცხული 80 მსმენელიდან ნახევარზე მეტი ადგილობრივ კომპანიებსა და ორგანიზაციებს წარმოადგენდა. დანარჩენები იყვნენ საქართველოში მოღვაწე უცხოური კომპანიების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასწავლო პროგრამა ადვილი არ არის. თითოეული მოდული სამიდან ოთხ დღემდე გრძელდება და დაგეგმილია ისე, რომ მსმენელებს მუშაობაში შეფერხებები არ შეექმნათ. სასწავლო პროცესი მოიცავს საკლასო სამუშაოს, ლექციებს, პრეზენტაციებს, გავლილი მასალის შეჯამებას პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და ტესტებს. სასურველია, სტუდენტებმა გამოიყენონ პრაქტიკული მაგალითები საკუთარი სამუშაო გამოცდილებიდან.

კოლეჯის პირველი ნაკადის მსმენელის, BP-ის თანამშრომლის თამილა ჩანტლაძის აზრით, „კურსი გეხმარება, რომ სისტემაში მოაქციო და თანმიმდევრულად გამოიყენო უკვე შეძენილი ცოდნა და სამუშაო გამოცდილება. გარდა ამისა, გეძლევა შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა პროფესიისა და სფეროს წარმომადგენლების გამოცდილებას ეზიარო. სასწავლო კურსი საკმაოდ ძნელი იყო, არანაკლებ ძნელი იყო სწავლა დასვენების დღეებში, თუმცა შედეგი ამაღ ღირდა.“

კოლეჯის მენეჯერი, ქეთი ალექსიძე პირველი წლის შედეგებით კმაყოფილია: „ჩვენი კოლეჯის გახსნა ეკონომიკის მრავალ დარგს, მათ შორის, საბანკო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მრეწველობის, მშენებლობის, ტელეკომუნიკაციისა და ენერგეტიკის სფეროებს. მართალია, კოლეჯი ჯერ მხოლოდ არსებობის მოკლე პერიოდს ითვისებს, შეიძლება ითქვას, რომ რეალური სარგებლის მიღებისკენ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა, ლაშა ჟვანიაშვილმა, კოლეჯის პერსპექტივებთან დაკავშირებული იმედები შემდეგნაირად გამოხატა: „ვიმედოვნებ, რომ პროგრამის პოტენციური მაქსიმალური იქნება ათეულობით და საქართველოში შეიქმნება დიპლომირებული პროექტების მენეჯერების ფართო წრე, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის რენტაბელურობის ამაღლებას, მომავალი ინფრასტრუქტურის პროექტების წარმატებით განხორციელებას და, ზოგადად, ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.“

პროექტების მართვის უნარების ამაღლება, საფარაუდოდ, სასიკეთოდ წაადგება საქართველოს ეკონომიკის მრავალ დარგს, მათ შორის, საბანკო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მრეწველობის, მშენებლობის, ტელეკომუნიკაციისა და ენერგეტიკის სფეროებს. მართალია, კოლეჯი ჯერ მხოლოდ არსებობის მოკლე პერიოდს ითვისებს, შეიძლება ითქვას, რომ რეალური სარგებლის მიღებისკენ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა, ლაშა ჟვანიაშვილმა, კოლეჯის პერსპექტივებთან დაკავშირებული იმედები შემდეგნაირად გამოხატა: „ვიმედოვნებ, რომ პროგრამის პოტენციური მაქსიმალური იქნება ათეულობით და საქართველოში შეიქმნება დიპლომირებული პროექტების მენეჯერების ფართო წრე, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის რენტაბელურობის ამაღლებას, მომავალი ინფრასტრუქტურის პროექტების წარმატებით განხორციელებას და, ზოგადად, ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.“

ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ვაგრძელებთ კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების სამსლიანი პროექტის მხარდაჭერას. პროექტის ძირითადი მიმართულებებია – ქართული კომპანიებისა და ბანკების კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, მათი დახმარება მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად და მათი უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი კაპიტალით. 2009 წლის განმავლობაში ჩატარდა სემინარები რისკების მართვის, კორპორაციული ანგარიშგების და კორპორაციის დირექტორთა საბჭოების შემადგენლობაში ქალების როლთან დაკავშირებულ საკითხებზე. გარდა ამისა, კორპორაციული მართვის თემაზე გაიმართა ტრენინგები, კონსულტაციები და კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა კვლევის ანგარიშები, გზამკვლევები, გამოცხადდა კონკურსი კორპორაციული მართვის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების ინიციატივების გამოსავლენად.

2008 წელს ემონანილოვდით ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) საქმიანობაში. ბიზნესსაბჭო BP-ის მიერ 2004 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „ვალდებულების“ ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტით არის დაფუძნებული. 2009 წელს, ბიზნესსაბჭოს ინიციატივით, გაიმართა შეხვედრები საქართველოსა და ევროკავშირის ოფიციალურ პირებს შორის ვაჭრობის, ინვესტირების და ქართველი ექსპორტიორებისა და ბიზნესების, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის, მხარდაჭერის საკითხებზე. საბჭოს ეგიდით გამოიცა საინფორმაციო ბროშურები, სავაჭრო კავშირების თემას მიეძღვნა შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები.



ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის, ლონდონში ბრიტანეთი-საქართველოს სავაჭრო პალატის და ვაშინგტონში აშშ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მხარდაჭერას.

საინფორმაციო კამპანია ენერგოეფექტურობის საკითხებზე

2009 წლის მარტში დაიწყო ახალი სამწლიანი პროექტი – „ენერგოავტობუსი“, რომლის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობას მივანდით ინფორმაციას ენერგიის უსაფრთხოდ და რაციონალურად გამოყენების გზებზე. ამავე ინიციატივის ნაწილია მოსახლეობის დახმარება ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე დანადგარებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შეძენასა და დამონტაჟებაში. ენერგოავტობუსის დამთვალეირებლები არა მხოლოდ ინფორმაციას იღებენ ბაზარზე არსებული ენერგოეფექტური პროდუქციისა და ტექნოლოგიების შესახებ, არამედ იქვე შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია, თუ სად და როგორ შეიძლება აიღონ შეღავათიანი სესხი ენერგოეფექტური პროდუქციის შესაძენად და საყოფაცხოვრებო პირობებში მათ დასამონტაჟებლად.

„ენერგოავტობუსი“: აქტიური საუბარი და აქტიური მოქმედება

„ენერგოავტობუსი“ არის საინფორმაციო და სადემონსტრაციო სატრანსპორტო საშუალება, რომელშიც გამოფენილია ვიზუალური მასალა ენერგოეფექტური პროდუქციისა და ტექნოლოგიების შესახებ. ენერგოავტობუსი უკვე იმყოფებოდა საქართველოს 100-ზე მეტ ქალაქსა და სოფელში და მას დღეში 150-ზე მეტი დამთვალეირებელი სტუმრობდა. 2009 წლის ბოლო სამ კვარტალში ენერგოავტობუსი მოინახულა 15 ათასზე მეტმა ადამიანმა – მოზრდილებმა, ბავშვებმა, შინამეურნეოებისა და მცირე საწარმოების მფლობელებმა და სხვა პირებმა. ქვემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითები მეტყველებს, თუ რა დაინტერესება გამოხატა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა:

- დუშეთში ენერგოავტობუსი მოინახულეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სასულიერო პირებმა, რომელთაც სურვილი გამოთქვეს, რომ მონასტრებში დაამონტაჟონ პელიოფოტოელექტრული სისტემები.
- დუშეთის რაიონის გამგებელი რაიონში ქარის მიკრო (400 ვტ) ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივით დაინტერესდა. ენერგოავტობუსის წარმომადგენლებმა ის დააკავშირეს ამ მოწყობილობის მომწოდებლებთან, რომლებთანაც მას შეეძლება გამართოს მოლაპარაკება ელექტროსადგურის შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ.
- ოქტომბერში ენერგოავტობუსმა და ამ პროექტის ჯგუფმა მონაწილეობა მიიღეს „კლიმატის ცვლილების კვირეულში“, რომელიც პირველად ჩატარდა და მისი ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრები – საქართველო“, ხოლო ფინანსური მხარდაჭერი – ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. ღონისძიების მესვეურები ესაუბრნენ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კლიმატის ცვლილების საკითხებსა და ამ გლობალური პრობლემის დაძლევის გზებზე.

„ენერგოავტობუსის“ პროექტის ფარგლებში დღემდე გაწეულ სამუშაოს აფასებს პროექტის ხელმძღვანელი, ენერგოეფექტურობის ცენტრის დირექტორი გიორგი აბულაშვილი: „პროექტმა შესანიშნავად აიღო სტარტი და წარმატებით ასრულებს გეგმას ავტობუსით შემოვლილი ქალაქებისა და სოფლების და მოზიდული დამთვალეირებლების რაოდენობის მხრივ. საქართველოს მოსახლეობას რეალურად ესაჭიროება, რომ მეტი იცოდეს ენერგოეფექტურობის მნიშვნელობაზე, ისევე როგორც იმ უამრავ საშუალებაზე, რომელსაც ადამიანებმა უნდა მიმართონ იმისთვის, რომ ენერგია უფრო გონივრულად მოიხმარონ. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა ხელმისაწვდომი და შეღავათიანი დაკრედიტების სქემა, რომელსაც იგი ინდივიდუალურ ოჯახებს სთავაზობს. ფინანსური დახმარების კომპონენტის არსებობა საშუალებას გვაძლევს, რომ მხოლოდ საუბრითა და ინფორმაციის მიწოდებით არ შემოვიფარგლოთ, არამედ რეალური და პრაქტიკული ცვლილებები მოვახდინოთ.“

ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

ჩვენი ხუთწლიანი საქმიანობის მაჩვენებლები, ტენდენციები და განმარტებები

31 დეკემბრის მდგომარეობით

	2005	2006	2007	2008	2009
საქმიანობის მაჩვენებლები					
ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი)	–	106.7	221.4	281.4	349.7
სოციალური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი) ^ა	12.4	20.1	8.7	8.0	8.5

უსაფრთხოება^ბ

BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	1	0	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC) ^ბ – პერსონალი ^დ	4	3	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF) ^ბ – პერსონალი	0.06	0.07	0	0	0
აღრიცხვადი ტრავმები ^ვ – პერსონალი	30	5	1	5	3
აღრიცხვადი ტრავმები სიხშირე (RIF) ^ზ – პერსონალი	0.41	0.12	0.04	0.26	0.17
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა	35	33	5	6	2
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე ^თ	1.30	2.06	0.49	0.71	0.25
დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (პირველადი გარსაცმის პერმეტულობის დარღვევა) ^ი	1	3	2	2	2
დაღვრილი პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	70,914	10,416	75,290	4,715	5,520
დაკარგული პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	0	0	51,000	0	320
ნამუშევარი დრო – პერსონალი	14,527,840	8,158,739	4,459,899	3,873,410	3,507,005
გავლილი კილომეტრები	26,844,882	15,999,715	10,101,030	8,503,842	8,120,198

გარემოს დაცვა^ა

პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO ₂) (ტონა)	35,421	146,084	408,273	251,090	285,415
პირდაპირი მეთანი (CH ₄) (ტონა)	220	396	271	147	311
პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) (CO ₂ -ის ეკვივალენტი ტონებში)	13,687	47,675	122,346	76,443	88,289
გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა)	44	197	109	88	102
აზოტის ოქსიდები (NOx) (ტონა)	651	1,751	2,704	1,992	2,309
არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა)	1,990	1,823	91	72	1,206
განთავსებული სახიფათო ნარჩენი (მ ³)	388	243	383	352	864
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა)	670	378	463	497	423

თანამშრომლები

BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	536	654	591	536	405
საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%)	74	75	84	93	95

^ა ეს ციფრები მოიცავს BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის, BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გაცემულ თანხებს. BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ BP საქართველოს 2005 და 2006 წლების მდგრადი განვითარების ანგარიშები.

^ბ უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომლებიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (პროექტები, ექსპლუატაცია, ადმინისტრაცია, Air BP).

^ბ გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC): ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები“, თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის შედეგად ვერ შეძლო ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ თანამშრომელი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

^დ BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

^ი DAFWCF – პერსონალი: BP-ის პერსონალის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.


ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

საქმიანობის მაჩვენებლები

2009 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენითა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა გაიზარდა, რაც თითოეული ამ მილსადენით გადაზიდული პროდუქტის მოცულობის ზრდას უკავშირდება.

→ **საქმიანობის მაჩვენებლები**
bp.com/performance

BTC/SCP/WREP მილსადენებით გადაზიდული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა




უსაფრთხოება

2009 წელს იკლო წინა წელს მომავალზე აღრიცხვადი ტრავმების რაოდენობისა და სიხშირის მაჩვენებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია მილსადენების მშენებლობის პერიოდში აღრიცხულ სიდიდებთან შედარებით, ჩვენი ამოცანაა, მუდმივად ვეცადოთ, რომ ყოველდღიური, სტანდარტული ოპერაციების უსაფრთხოება უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ. მაგალითად, 2009 წელს შევამცირეთ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა და საერთო სიხშირე და ვაპირებთ, რომ მომავალში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გავეუმჯობესოთ. 2004 წლიდან მოყოლებული, თითქმის ერთ დონეზეა შენარჩუნებული ნავთობის დაღვრის ინციდენტების რაოდენობა, რომელიც საწარმოო პროცესების უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტერიუმია. 2009 წელს მომხდარი დაღვრის ორივე ინციდენტი ბაქო-სუფსის მილსადენზე უკანონო მეერთების მცდელობით იყო გამოწვეული.

→ **უსაფრთხოება**
bp.com/safety

აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე 2005-09 წლებში




გარემოს დაცვა

აქტივობებში საბუთის აირებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გაფრქვევების გაზრდილი სიდიდეები 2009 წელს მილსადენებით გადაზიდული ნახშირწყალბადების გაზრდილ მოცულობებს უკავშირდება. 2007-2008 წლებში იგივე მაჩვენებლები ნაკლები იყო, რაც, ძირითადად, გაფრქვევის კოეფიციენტების უფრო მიზანშეწონილი სიდიდეების გამოყენებით იყო გამოწვეული. 2008 წელთან შედარებით, არამეთანური ნახშირწყალბადების ზრდა ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ წინა წლებში სარემონტო სამუშაოებისთვის გაჩერებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედებასთან ერთად, გაიზარდა გადაზიდული ნავთობის მოცულობა და, შესაბამისად, გააქტიურდა ნავთობის ტანკერებში ჩატვირთვის ოპერაციები სუფსის ტერმინალზე. 2009 წელს გაზრდილია საბუთის ნარჩენების ნაკადების მოცულობა, რაც, ძირითადად, ბაქო-სუფსის მილსადენის დგუშით წმენდის ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი პარაფინის ნარჩენების, დაღვრის ადგილებიდან მოხსნილი ნავთობიანი ნიადაგისა და ტექნოსახურების პროცესში წარმოქმნილი ნახშირი საპაერო ფილტრების დიდი რაოდენობით არის გამოწვეული.

→ **გარემოს დაცვა**
bp.com/environment

BP-ის ნილობრივი მაჩვენებელი საბუთის აირების პირდაპირ გაფრქვევებში 2005-09 წლებში




თანამშრომლები

2009 წელს გაგრძელდა კომპანიის თანამშრომელთა საერთო რიცხვის კლების ტენდენცია, რაც მილსადენებისა და მათი ობიექტების მშენებლობის ფართომასშტაბიანი სამუშაოების დასრულებას უკავშირდება. პარალელურად, გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი კომპანიის მთლიან სამსახურ შემადგენლობაში და 2009 წელს ამ მაჩვენებელმა 95% შეადგინა.

→ **თანამშრომლები**
bp.com/people

საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეები კომპანიის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში 2005-09 წლებში



³ აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა თანამშრომლის დაღუპვით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით ან პირველადი დაზარალების გარდა განხილული სამედიცინო მომსახურებით.
⁴ აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში ნაშუაგარ ყოველ 200000 საათზე. ეს არის ნავთობმრეწველობის დარგში საყოველთაოდ მიღებული ინდიკატორი უსაფრთხოების საზომი ერთეული.
⁵ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე: მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილების მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

⁶ BP ჯგუფის განსაზღვრების თანახმად, ნახშირწყალბადის დაღვრად განიხილება ერთ ბარელზე (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მეტი მოცულობის პროდუქტის დაღვრა.
⁷ ყველა გარემოსდაცვითი მაჩვენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მოცულობას, გარდა „საბუთის აირების პირდაპირი გაფრქვევის ნილობრივი მაჩვენებლისა“, რომელიც უზენაეს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომლებიც BP-ის ნილობრივი მონაწილეობა გააჩნია. 2009 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას ბაქო-სუფსის მილსადენსა და სუფსის ტერმინალზე. 2006 და 2007 წლების მონაცემები მოიცავს საქართველოში BP-ის საქმიანობას სამივე მილსადენსა (BTC, SCP და WREP) და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის განცხადება

წინამდებარე ანგარიში შემომწებულია BP ჯგუფის აუდიტორის – Ernst & Young-ის მიერ. ანგარიშის შემომწების უმთავრესი მიზანია დადასტურება იმისა, რომ ტექსტში მოცემული BP-ის მდგრადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის გამყარებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა მესამე, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst & Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.

დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს
BP საქართველოს მდგრადი განვითარების 2009 წლის ანგარიში (შემდგომში – „ანგარიში“) მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად, გადავამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გამოსატანად.

შემომწებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c-ის მენეჯმენტის წინაშე, მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამიტომ ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი მესამე მხარე ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა დაეყრდნოს.

როგორ გავაკეთეთ დასკვნები

ეს შემომწება დაიგეგმა და განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტის – IAS 3000-ის^ა შესაბამისად.

- ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2009 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიაში, გამოიკვეთა თავად BP საქართველოს მიერ მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა შიდა დოკუმენტაციაში.

შესაბამისობაშია თუ არა ანგარიშში მოყვანილი, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია BP-ის მენეჯერების მიერ მოწოდებულ განმარტებებთან და მტკიცებულებებთან. შეესაბამება თუ არა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგრადი განვითარების შესახებ შესაბამისი ბიზნესდანიყოფების დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები, რომლებიც აღწერს 2009 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ მდგრადი განვითარების ხელშეწყობს საქმიანობას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემომწების ანგარიშები და ეთიკის სერტიფიკატი.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი.
3. შევისწავლეთ ანგარიშში მოყვანილი მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად წარმოდგენილი ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯერებისა და აღრიცხვის პროცესი, ქვეყნის ან ობიექტების დონეზე.

შემომწების დონე

მტკიცებულებების მოპოვების ის პროცედურები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, გულისხმობს შეზღუდული მასშტაბის შემომწებას, რომელსაც ჩვენი დასკვნები ეყრდნობა. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები უფრო მცირე მასშტაბისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემომწება უფრო შეზღუდულია.

ჩვენი დასკვნები

ჩატარებული შემომწების საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი, სათაური „როგორ გავაკეთეთ დასკვნები“.

1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?

ჩვენთვის არ არის ცნობილი BP საქართველოს მდგრადი განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა მასმედიაში, ან გამოვლინდა BP საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მოვლენების შიდა მიმოხილვის შედეგად და რომელიც ამ ანგარიშში არ აისახა.

2. არის თუ არა BP საქართველოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა და მტკიცებულებებით?

ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე არასწორი განცხადება, რომელსაც შეიცავს BP-ის მენეჯმენტის მიერ BP საქართველოს მდგრადი საქმიანობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები და მტკიცებულებები.

ჩვენი დამოუკიდებლობა

როგორც BP p.l.c.-ს აუდიტორი, Ernst & Young-ი ვალდებულია, დააკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინგლისისა და უელსის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW) პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელოში. Ernst & Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც აკმაყოფილებს და ზოგან აღემატება ICAEW-ის მოთხოვნებს, ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, რომ ყოველწლიურად დაადასტურონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობაზე იქონებდა გავლენას. 2009 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ ყოფილა.

ERNST & YOUNG

Ernst & Young LLP
ლონდონი
მაისი 2010

^ა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არ გულისხმობს აუდიტსა და ისტორიული ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას (IAS 3000).

ტერმინების განმარტება

BPD

ბარელი ნავთობი
დღეში

BTC

ბაქო-თბილისი-
ჯეიჰანის
ნავთობსადენი

CIDA

კანადის
საერთაშორისო
განვითარების
სააგენტო

CIP

საზოგადოებრივი
ინვესტირების
პროგრამა

CLO

საზოგადოებასთან
ურთიერთობის
ოფიცერი

CO₂

ნახშირორჟანგი

DAFWC (f)

შრომის უნარის
დაკარგვის
მიზეზით
გაცდენილი
სამუშაო დღეები
(სიხშირე)

EBRD

ევროპის
რეკონსტრუქციისა
და განვითარების
ბანკი

EDDF

ნავთობის
ავარიულად
ჩამოსაცლელი
ობიექტი

EU

ევროკავშირი

EUGBC

ევროკავშირი-
საქართველოს
ბიზნესსაბჭო

FTM

პროექტი
„ფერმერები და
ბაზარი“

GHG

სათბურის აირი

HSE

ჯანმრთელობა,
შრომის
უსაფრთხოება და
გარემოს დაცვა

IFC

საერთაშორისო
საფინანსო
კორპორაცია

IMT

ინციდენტების
მართვის ჯგუფი

ISET

თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ეკონომიკის
საერთაშორისო
სკოლა

ISSOW

მუშაობის
უსაფრთხოების
ინტეგრირებული
სისტემა

IUCN

ბუნების დაცვის
საერთაშორისო
კავშირი

Mmboe

მილიონი ბარელი
ნავთობის
ეკვივალენტი

NGO

არასამთავრობო
ორგანიზაცია

OMS

წარმოების
მართვის სისტემა

PMC

პროექტების
მართვის კოლეჯი

SCP

სამხრეთ
კავკასიური
გაზსადენი

WREP

დასავლეთის
მიმართულების
საექსპორტო
მილსადენი (იგივე
ბაქო-სუფსის
მილსადენი)

დამატებითი ინფორმაცია

BP-ის მდგრადი განვითარების

ანგარიშების სტრუქტურა

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული ფორმით.

ანგარიშგება BP ჯგუფის დონეზე

BP ჯგუფის მდგრადი განვითარების მიმოხილვის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდა ინგლისურ, ჩინურ და რუსულ ენებზე. BP-ის HSE სფეროს მაჩვენებლები ინტერაქტიული დიაგრამების სახით არის წარმოდგენილი.
www.bp.com/sustainabilityreview2009
www.bp.com/hsechartingtool
www.bp.com/sustainabilitymappingtool

ცალკეული ქვეყნებისა და

საწარმოების ანგარიშები

ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშებს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგოლაში, ავსტრალიაში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ტრინიდადი და ტობაგოსა და თურქეთში. გარდა ამისა, გაგვაჩნია ოცდაათამდე მსხვილი საწარმოსა და ობიექტის მდგრადი განვითარების ანგარიშების არქივი.
www.bp.com/countrysustainabilityreports
www.bp.com/sitereports

გამოხმაურება

თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე:
bpgeosust@bp.com

BP საქართველო, 0194, თბილისი, საბურთალოს ქ. №38

BP საქართველოს გასული წლების მდგრადი განვითარების ანგარიშების გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე:
www.bpgeorgia.ge

მადლობები

დიზაინერი: ბესიკ დანელია
besodanelia@hotmail.com

ფოტოგრაფი: გელა ქევხიშვილი
Internews Service Centre, office@internews.ge